# საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან. | № 64 (343) | შაბათი, 18 აპრილი, 1992 წელი. | ფასი 1 მანეთი.

## ნუხელ შევიტყვეთ

### სამხედრო კომენდანტის ცნობა

● დანაშაული მოხდა 16 აპრილს დილის 9 საათზე. ოთხი დაუდგენელი ნიღბიანი დამნაშავე შეიჭრა მოქალაქე მ.-ს ბინაში. მათ გაიტაცეს სოლიდური თანხა, ოქროულობა, ვიდეოაპარატურა და სხვა ძვირფასი ნივთები და მიიმალნენ. საქმეს იძიებს საბურთალოს რაიონის შინაგან საქმეთა განყოფილება.

გასული დღე-ღამის განმავლობაში თავს დაესხნენ მილიციის თანამშრომლებს. თემქის დასახლებაში ოთხმა დამნაშავემ სცემა გუშაგ მილიციელს, წაართვა სატაბელო იარაღი, მაგრამ მიმალვა ვერ მოახერხა. ნაძალადევის შინაგან საქმეთა რაიონული განყოფილების მე-8 განყოფილების მუშაკებმა ოთხივე დააკავეს. იარაღი ჩამორთმეულია.

ეს ორი ფაქტი გვაცნობეს სამხედრო კომენდანტის პრესსამსახურში.

აქვე გვაცნობეს ისიც, რომ კომენდანტის საათის დარღვევისთვის დაკავებულია 40 კაცი.

### ამერიკელი სტუმარი

● საქართველოში ჩამოვიდა ატლანტის ჰუმანის საავადმყოფოს ქირურგიული სამსახურის დირექტორი ქალბატონი მარჯი სოიერი. ჩვენს რესპუბლიკაში იგი მოიწვია თბილისის ბავშვთა მეორე საავადმყოფომ. ჩამოსვლის მიზანია ხელშეკრულების გაფორმება ამერიკისა და საქართველოს შესაბამის სამკურნალო დაწესებულებებს შორის.

სულ ახლახან კი ქართველი ექიმი, ბავშვთა მეორე საავადმყოფოს ყელ-ყურ-ცხვირის განყოფილების გამგე იოსებ მაჭავარიანი დაბრუნდა ამერიკიდან, სადაც სამი თვით მიწვეული იყო ატლანტაში.

სულ მალე თბილისის ბავშვთა მეორე საავადმყოფო ატლანტიდან საჩუქრად მიიღებს ყელ-ყურ-ცხვირის საოპერაციო თანამედროვე აპარატურასაც. წლეულს სექტემბერში კი ჰუმანის საავადმყოფოს მედიკოსები საქმიან ვიზიტად ესტუმრებიან საქართველოს.

### ნორჩი ტალანტების კონკურსი

● ფრედერიკ შოპენის სახელობის ნორჩ პიანისტთა პირველი საერთაშორისო კონკურსი გაიხსნა მოსკოვში 16 აპრილს. ამ დათვალიერებაში მონაწილეობენ 12-16 წლის რუსი, ბელარუსი, აზერბაიჯანელი, ქართველი, ყაზახი, უზბეკი, პოლონელი, ვიეტნამელი, ავსტრალიელი და იაპონელი გოგო-ბიჭები.

ნორჩი ტალანტების დათვალიერებაში მონაწილეობს თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის საშუალო სპეციალური მუსიკალური სკოლის მეცხრე კლასის მოსწავლე ნინო ბაბუციძე, რომელიც ფორტეპიანოს დაკვრის ხელოვნებას ეუფლება პროფესორ ედიშერ რუსიშვილის ხელმძღვანელობით.

### სიახლე ბანკში

● საქართველოს სახელმწიფო კომერციულ სამრეწველო ბანკში წარმოებული ყველა ოპერაცია კომპიუტერიზებულია, რამაც შეამცირა კლიენტებთან ურთიერთობის დრო. მაგრამ იმის გამო, რომ ერთიანი კომპიუტერული კავშირი არა აქვთ რესპუბლიკის ბანკებს, მათ შორის ოპერაციები კვლავ ჭიანურდება.

ამ ოპერაციათა ხანგრძლივობა, როგორც მრეწვბანკის გამგეობის თავმჯდომარემ ზაალ გენძეხაძემ გვითხრა, იზრდება იმის გამოც, რომ ამ ცოტა ხნის წინათ ამოქმედდა ეგრეთ წოდებული საანგარიშსწორებო ცენტრები. მათ, რესპუბლიკაში კი დაახლოებით რვა ასეთი ცენტრია, იკისრეს როგორც საქართველოს, ისე საზღვარგარეთის ბანკებს შორის თავისებური შუამავლის როლი.

ნუხელ შევიტყვეთ

# საქართველოსთვის, ბიჭებო, სწორდით!

## საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს დადგენილება

ქ. თბილისი. 1992 წლის 11 აპრილი.

საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭო ადგენს:

1. შეიქმნას საქართველოს რესპუბლიკის ერთიანი შეიარაღებული ძალები თავდაცვის სამინისტროს დაქვემდებარებაში.

2. საქართველოს რესპუბლიკაში არსებული მთელი შეიარაღებული ძალები (ფორმირებები, დაჯგუფებები, რაზმები და გუნდები) გაერთიანდეს თავდაცვის სამინისტროს სტრუქტურაში.

3. დამტკიცდეს საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროს და შეიარაღებული ძალების მთავარი შტაბის ერთიანი სტრუქტურა.

4. თავდაცვის სამინისტრომ შეიმუშაოს სარეზერვო ფორმირებათა სისტემა და მათი განლაგება საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

5. დამტკიცდეს საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროს მიერ წარმოდგენილი დროებითი დებულება საქართველოს რესპუბლიკაში საყოველთაო სამხედრო ვალდებულების შესახებ და საქართველოს რესპუბლიკის შეიარაღებულ ძალებში წვევამდელთა გაწვევის დეკრეტი.

საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე
ედუარდ შევარდნაძე.

## საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის დადგენილება

### საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის აპარატის საქმიანობის შეწყვეტასთან დაკავშირებით სალიკვიდაციო კომისიის შექმნის შესახებ

1992 წლის 2 იანვრიდან საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის აპარატის საქმიანობის შეწყვეტასთან დაკავშირებით საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა ადგენს:

1. საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის აპარატის ლიკვიდაციასთან დაკავშირებით მოიშალოს ამ აპარატისა და მის ნომენკლატურაში შემავალ ყველა მუშაკთან განუსაზღვრელი ვადით დადებული შრომითი ხელშეკრულება.
2. საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის აპარატის გაუქმებასთან დაკავშირებით შეიქმნას სალიკვიდაციო კომისია საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს სამდივნოს უფროსის ვ. ჭიპაშვილის თავმჯდომარეობით.
3. სალიკვიდაციო კომისიამ გაუქმებული აპარატის მუშაკებთან საბოლოო ანგარიშსწორება განახორციელოს საქართველოს რესპუბლიკის მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული წესების შესაბამისად.
4. სალიკვიდაციო კომისიამ მუშაობა დაამთავროს ორი თვის ვადაში დღიდან შექმნისა.

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის — პრემიერ-მინისტრის მოვალეობის შემსრულებელი თ. სიგუა.

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის სახელმწიფო კანცელარიის მმართველის მოვალეობის შემსრულებელი გ. ბერიძე.

თბილისი. 1992 წლის 17 აპრილი.

## საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს დეკრეტი

### საქართველოს რესპუბლიკის შეიარაღებულ ძალებში წვევამდელთა გაწვევის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციის 94-ე მუხლის შესაბამისად, საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭო ადგენს:

1. გაწვეულ იქნენ საქართველოს რესპუბლიკის შეიარაღებულ ძალებში სამხედრო ბეგარის მოსახდელად მოქალაქენი, რომლებსაც გაწვევის დღისთვის შეუსრულდათ 18 წელი და არა აქვთ სამხედრო ბეგარის გადავადების უფლება, აგრეთვე გაწვევის გადავადების უფლებადაკარგული უფროსი ასაკის წვევამდელები.

დაწესდეს გაწვევის ვადა წელიწადში ორჯერ გაზაფხულსა და შემოდგომაზე.

2. სამხედრო ბეგარის მოხდის ხანგრძლივობა განისაზღვროს:

— უმაღლესი განათლების მქონე წვევამდელთათვის, რომლებსაც არ გაუვლიათ მომზადება სამხედრო კათედრებზე — 12 თვე.

— უმაღლესი განათლების მქონე მოქალაქეთათვის კი, რომლებმაც გაიარეს მომზადება სამხედრო კათედრებზე და მიენიჭათ ოფიცრის წოდება — 24 თვე (ამ კატეგორიის მოქალაქენი გაწვეულ იქნენ სამხედრო ბეგარის მოსახდელად ოფიცრის თანამდებობაზე საქართველოს რესპუბლიკის შეიარაღებულ ძალებში მხოლოდ მეთაურებისა და სპეციალისტების უკმარისობის შემთხვევაში).

— საშუალო და არასრული საშუალო განათლების მქონე წვევამდელთათვის — 18 თვე.

3. სამხედრო ბეგარისაგან გადავადება ეძლევათ:

წვევამდელებს, რომლებიც სწავლობენ სახელმწიფო უმაღლეს სასწავლებლებში, სასწავლებლის დამთავრებამდე, მაგრამ არა უგვიანეს 25 წლის ასაკამდე. იმ სტუდენტებს კი, რომლებიც გადიან სამხედრო მომზადებას კათედრებზე, დამთავრებისას ენიჭებათ რეზერვის ოფიცრის წოდება.

— საშუალო და სპეციალური სასწავლებლის მოსწავლეებს, თუ ისინი სწავლას განაგრძობენ რვა კლასის დამთავრების შემდეგ, — სასწავლებლის დამთავრებამდე, მაგრამ არაუგვიანეს 20 წლის ასაკამდე.

სამხედრო ბეგარის მოხდისგან ოჯახური მდგომარეობის გამო თავისუფლდებიან დედისერთა შვილები, აგრეთვე ის წვევამდელები, რომლებსაც კმაყოფაზე ჰყავთ ცოლშვილი, შრომისუუნარო მშობლები, დები და ძმები.

5. სამხედრო ბეგარის მოსახდელად არ გაიწვევიან წვევამდელები, რომლებმაც სასჯელი მოიხადეს განსაკუთრებით საშიში სახელმწიფოებრივი და სისხლის სამართლის მძიმე დანაშაულისთვის. აგრეთვე ორჯერ და მეტჯერ ნასამართლევნი.

დანარჩენი კატეგორიის ნასამართლევი წვევამდელები გაიწვევიან სამხედრო ბეგარის მოსახდელად სასჯელის მოხდიდან ერთი წლის შემდეგ, თუ ისინი ჩაბმული არიან საზოგადოებრივად სასარგებლო შრომაში და წარმოადგენენ წარმოება-დაწესებულებიდან დადებით დახასიათებასა და რეკომენდაციას.

6. დროებით შეჩერდეს იმ წვევამდელთა გაწვევა, რომელთა მიმართ აღძრულია სისხლის სამართლის საქმე.

7. სამხედრო ბეგარის მოსახდელად გაწვეულ იქნენ მხოლოდ ჯანმრთელი წვევამდელები. ავადმყოფ წვევამდელებს გაწვევა გადაუვადდებათ ერთიდან სამ წლამდე საექიმო კომისიების გადაწყვეტილებით. თუ წვევამდელი ამ დროში არ გამოჯანმრთელდება, იგი მოიხსნება სამხედრო აღრიცხვიდან და განთავისუფლდება სამხედრო ბეგარისგან.

8. სამხედრო ბეგარისგან განთავისუფლდებიან ის წვევამდელები, რომლებიც უმაღლეს სასწავლებლებში დაეუფლნენ პედაგოგის სპეციალობას და სამუშაოდ წავლენ საქართველოს ბუნებრივი დემოგრაფიული თვალსაზრისით რთულ და დაშორებულ რეგიონებში.

9. გაწვევის ორგანიზაციას და სამხედრო ბეგარის მოსახდელად გასაწვევ ახალგაზრდათა რაოდენობას განსაზღვრავს საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭო საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროს წარდგინების საფუძველზე.

10. საქართველოს რესპუბლიკის რაიონებსა და ქალაქებში შეიქმნას რაიონული გამწვევი და საექიმო კომისიები წვევამდელთა მოსამზადებლად და მათ გასაწვევად საქართველოს რესპუბლიკის შეიარაღებულ ძალებში სამხედრო ბეგარის მოსახდელად.

რაიონებისა და ქალაქების გამწვევი კომისიების ხელმძღვანელობისა და მათი საქმიანობის კონტროლისთვის საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტმა შექმნას რესპუბლიკური გამწვევი კომისია.

კომისიების შემადგენლობას და საქმიანობის წესს განსაზღვრავს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი.

11. საქართველოს რესპუბლიკის შეიარაღებულ ძალებში სამსახური რესპუბლიკის მოქალაქეთა სავალდებულო და საპატიო მოვალეობაა და სამხედრო ბეგარის მოხდისგან თავის ამრიდებლები დაისჯებიან საქართველოს რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით.

12. დეკრეტი საქართველოს რესპუბლიკის შეიარაღებულ ძალებში წვევამდელთა გაწვევის შესახებ ძალაშია მიღებისთანავე.

საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე
ედუარდ შევარდნაძე.

## ფასკუნჯივით ფერფლიდან დგება



აქედან, ფოლადის ბაგირებზე ჩამოკიდებული სამშენებლო საკიდელიდან, რომლის მეშვეობით ოსტატები აღადგენენ მთავრობის სახლის ფასადს, ლამის მთელი რუსთაველის პროსპექტი მოჩანს.

გასული წლის დამლევსა და ახალი წლის პირველ დღეებში გაპარტახებული, გარუჯული პროსპექტი მართლაც რომ საშინელი ზამთრის მომსწრე გახდა. და დღეს, ფასკუნჯივით ფერფლიდან დგება.

კვლავ მოუღლელად შრომობენ თბილისელი მშენებლები.

სურათებზე: გიორგი დათიკაშვილი, მურაზ გვეშამიძე და ივლიანე ლუხავა აქედან, სამშენებლო საკიდელიდან, ხედავენ რუსთაველის მთელ პროსპექტს. თბილისის „ტაძარმშენის" ტრესტის კოლეგებთან ერთად ყველაფერს აკეთებენ, რათა მოქალაქეთა საყვედურები არ დაიმსახურონ; მიმდინარეობს აღდგენითი სამუშაოები პირველი ქართული სკოლის ტერიტორიაზე; ჰიდრომრეწვმშენის № 8 ტრესტის № 7 სამშენებლო სამმართველოს მუშები ისმაილ კასოევი და იური იურკინი.







ვანო შამანაძის ფოტო
(საქინფორმის ფოტოქრონიკა).

## საქართველო — ღირსეული პარტნიორი

ჯერ მელანი არ შეშრობია საგარეო ეკონომიკური ურთიერთობის სახელმწიფო კომიტეტის შექმნის შესახებ საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის დადგენილებას, და ის კი უკვე მუშაობას შეუდგა.

— დრო არ იცდის, — თქვა მისმა თავმჯდომარემ სოსო ცისკარიშვილმა. — პირდაპირ გეტყვით — გუშინ უკვე გვიან იყო. ისე მოზღვავდა წინადადებები, ინვესტიციების კერძო ტექნიკურ და ჰუმანიტარული დახმარების შესახებ, ეს გამოიწვია საქართველოს რესპუბლიკის ფართო საერთაშორისო აღიარებამ.

მხოლოდ ერთი დღეა, რაც კომიტეტი შეიქმნა, და ჩვენ უკვე მოლაპარაკება გავმართეთ ამერიკის შეერთებული შტატების კერძო საინვესტიციო კორპორაციის წარმომადგენლებთან, რომლებიც საქართველოში ბატონ ბეიკერის დავალებით ჩამოვიდნენ და მოამზადეს რესპუბლიკაში ამ ქვეყნის კერძო კაპიტალის მოზიდვის თაობაზე საქართველოსა და ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობათა შეთანხმების პროექტი.

კომიტეტის მთავარი ამოცანაა შეიმუშაოს საქართველოს საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების განვითარების კონცეფციისა და საგარეო ეკონომიკური პოლიტიკის ძირითადი პრინციპების ფორმირებისათვის საჭირო წინადადებანი. უზრუნველყოს ერთიანი სავალუტო და საკრედიტო პოლიტიკის განხორციელება საგარეო ბაზარზე სახელმწიფო ინტერესების დაცვის მიზნით, საგარეო ეკონომიკური საქმიანობის კოორდინაცია, მათ შორის საერთაშორისო ხელშეკრულებათა მიხედვით ორმხრივი ვალდებულებების შესრულება. ამჟამინდელი სიტუაცია, როცა კომიტეტი საქმიანობას იწყებს, გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას კატასტროფულია. ცნობილია, რომ ყოფილ სსრ კავშირში საგარეო- ეკონომიკური კავშირურთიერთობა მხოლოდ ცენტრალიზებული გზით ხორციელდებოდა და მართვის რესპუბლიკური - ორგანოები პრაქტიკულად მოკლებული იყვნენ დამოუკიდებლობას ამ სფეროში. ჩვენ იმის სტატისტიკაც კი არ გვქონია, თუ რას იღებდა რესპუბლიკა წლის განმავლობაში, იმპორტული მოწყობილობა, ტექნიკა, მოწინავე ტექნოლოგიები მხოლოდ ვერტიკალური კავშირურთიერთობის გზით შემოდიოდა. უოველთვის არც რესპუბლიკის ინტერესების გათვალისწინება ხერხდებოდა საგარეო-სავაჭრო ოპერაციების განხორციელებისას.

მემკვიდრეობად მივიღეთ დარღვეული ინფრასტრუქტურა, მოძველებული ტექნოლოგიები თითქმის ყველა დარგში. გვაიმედებს ის, რომ მრავალი საზღვარგარეთის ფირმა იჩენს ინტერესს საქართველოს ბაზრისადმი. მაგალითად, ფოთის ნავსადგურის რეკონსტრუქციაში მონაწილეობის სურვილი გამოთქვეს იტალიის, საბერძნეთის, ირანის, შვეიცარიისა და სხვა ქვეყნების ფირმებმა. ასეთივე ინტერესი გამოიჩინეს როგორც სახელმწიფო, ისე კერძო ფირმებმა ბაქო-ფოთის ავტოსტრადის მშენებლობის, ქუთაისის საავტომობილო ქარხნის რეკონსტრუქციის, რესპუბლიკის ჰიდროტექნიკური რესურსების გამოყენების მიმართ. ერთი სიტყვით წინადადებები უამრავია. მაგრამ სწორი გადაწყვეტილების მისაღებად საჭიროა სერიოზული მოსამზადებელი სამუშაოს ჩატარება, უნდა გამოცხადდეს საერთაშორისო ტენდერი, ზუსტად განვსაზღვროთ, ვის მივანიჭოთ უპირატესობა რესპუბლიკის ინტერესებიდან გამომდინარე.

ამასთან, მეტად საჭიროა ხელი შევუწყოთ საბაზრო ურთიერთობაზე ეკონომიკის უმტკივნეულოდ გადაყვანას, პრივატიზაციის პროცესს. რაც უფრო ადრე მოხდება ეს, მით უფრო მინიმალური იქნება სოციალური ხარვეზები. ერთი სიტყვით, დიდი გეგმები გვაქვს. შევეცდებით მათ განხორციელებას, რათა საქართველომ, შეძლოს გახდეს მსოფლიო თანამეგობრობის ღირსეული პარტნიორი.

გალინა ჩიქოვანი,
საქინფორმის კორ.

## შრომა და სიმშვიდე განუყოფელია

გაზაფხული მობრძანებულა კახეთის მადლიან მიწაზე. მრავალჭირნაცადი, უღალატო, გამრჯე, მიწისა და ვაზის ერთგული ხალხი მინდორსა და ზვარში გასულა, რათა ბარაქა შემატოს საკუთარ ოჯახსა და მთელ საქართველოს.

მაგრამ სამწუხაროდ, კახეთშიც არიან გარკვეული ძალები, რომლებიც ცდილობენ, თუმცა ამაოდ, წყლის ამღვრევას, ხალხში შფოთისა და შიშიანობის დათესვას, პოლიტიკური და კრიმინოგენური ვითარების დაძაბვას.

სწორედ ამ საკითხებს მიეძღვნა 15 აპრილს გურჯაანში გამართული თათბირი, რომელშიც მონაწილეობდნენ კახეთის ზონის საკრებულოების გამგეობათა თავმჯდომარეები, რაიონების პროკურორები, შინაგან საქმეთა განყოფილებების უფროსები, სახელმწიფო უშიშროების სამსახურების წარმომადგენლები.

საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს რწმუნებულმა კახეთის ზონაში გელა გოდერძიშვილმა ილაპარაკა რეგიონში შექმნილ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ვითარებაზე, მიწის პრივატიზაციის მიმდინარეობაზე, დანაშაულობასთან ბრძოლის პრობლემებზე. ინფორმაცია გააკეთეს და პრაქტიკული წინადადებები დააყენეს საგარეჯოს, სიღნაღის, თელავის, ყვარლის, გურჯაანის, ლაგოდეხის, ახმეტისა და დედოფლისწყაროს საკრებულოების გამგეობათა თავმჯდომარეებმა, პროკურორებმა და მილიციის განყოფილებების უფროსებმა.

რეგიონში ძირითადად წარმატებით მიმდინარეობს მიწების პრივატიზაცია. მაგრამ გულახდილად ითქვა ხელისშემშლელ მიზეზებზეც, კერძოდ სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის, საწვავის ნაკლებობასა და სიძვირეზე. აღინიშნა ისიც, რომ მოსახლეობას სრული ინფორმაცია არა აქვს პრივატიზაციის პირობებზე.

ოპერატიული თვალსაზრისით, საქართველოს სხვა რეგიონებთან კახეთში შედარებით სიმშვიდეა. ბევრ სოფელში თვითონ მოსახლეობამ აიღო ხელში ქურდებისა და ყაჩაღების წინააღმდეგ ბრძოლის საქმე.

სერიოზული მსჯელობა გაიმართა უნებართვო იარაღის ჩამორთმევის, მილიციის „მხედრიონისა" და გვარდიის სტატუსის, მათი უფლება-მოვალეობათა გამიჯვნის საჭიროებაზე.

საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრმა რომან გვენცაძემ ილაპარაკა მილიციის ადგილობრივი ორგანოების ბრძოლისუნარიანობის გაძლიერების აუცილებლობაზე.

რესპუბლიკის გენერალურმა პროკურორმა ვახტანგ რაზმაძემ გააანალიზა რეგიონში შექმნილი საზოგადოებრივ-პოლიტიკური და ოპერატიული ვითარება, ხაზი გაუსვა პროკურატურის, მილიციის, სამხედრო ფორმირებათა საქმიანობის კოორდინაციის საჭიროებას.

ვახტანგ რაზმაძემ და რომან გვენცაძემ განაცხადეს, რომ ამგვარი შეხვედრები რესპუბლიკის ყველა რეგიონში გაიმართება.

საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს პრესცენტრი.

## საკუთარ მიწას სხვა მადლი აქვს





### ე ს დღეები სოფლად

გორის რაიონის სოფელ მეჯვრისხევში მეორე თვეა მიმდინარეობს მიწის პრივატიზაცია. დღეისათვის 80 ჰექტარი მიწა 800 ოჯახს გადაეცა. საგაზაფხულო სამუშაოებიც არ ფერხდება.

**სურათებზე:** თენგიზ გინტურის ოჯახის წევრები ახლახან მიღებულ საკარმიდამო ნაკვეთში მუშაობენ; მექანიზატორი თეიმურაზ სარაული ყოველდღიურად 6-7 ჰექტარ ხეხილის ბაღს წამლავს.

ვარლამ გენგიურის ფოტო.

### თვალსაზრისი

# რაც საბაზრო ეკონომიკას წაადგება

**რესპუბლიკაში აუდიტორული მომსახურების დანერგვის აუცილებლობის შესახებ**

დღევანდელობა უფრო და უფრო გვარწმუნებს, რომ ცივილიზებულ საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლის ორგანიზაციული და მეთოდური წინაპირობები უნდა შევქმნათ; [illegible]

[illegible]

...ვის შეიძლება დავასახელოთ მსოფლიოში კარგად ცნობილი აუდიტორული ფირმები „არტურ ანდერსონი", „მაკკინზი", „არტურ-იანგი" და სხვები. ისინი კომპანიების ან ბანკების დაკვეთით ახდენენ ფინანსური მდგო- [illegible]

[illegible] რესპუბლიკებში, სანქტ-პეტერბურგში, კიევში და სხვაგან.

ჩვენში ჯერჯერობით გახსნილია ერთადერთი ასეთი ფირმა „იბერაუდიტის" სახელწოდებით, რაც რა თქმა უნდა, რესპუბლიკის მოთხოვნას ვერ აკმაყოფი- [illegible]

[illegible] ისა და კონტროლის უფლება მხოლოდ დამოუკიდებელ აუდიტორულ სამსახურებს აქვთ მინიჭებული საერთაშორისო სტანდარტით. აუდიტორულმა ფირმებმა უნდა იკისრონ ამ ტიპის საწარმოებისა და ორგანიზაციე- [illegible]

[illegible] განვითარებისა და [illegible] მუშაობის ახალი ფორმებისა და მეთოდების დანერგვას.

ნოდარ ტყეშელაშვილი, იაკობ მესხია.

# კანონი რომ სწორად სრულდებოდეს

**მკითხველთა წერილებს უპასუხებს საქართველოს რესპუბლიკის ჯანდაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროს სამმართველოს უფროსი ირინა ღლონტი**

**კითხვა:** ვარ 21 წლის, მაქვს 2 წლის შრომის სტაჟი, გასულ წელს გავთხოვდი და სულ მალე შვილს ველოდები, ამჟამად დეკრეტულ შვებულებაში ვიმყოფები. გთხოვთ განმიმარტოთ, რამდენი მანეთი მეკუთვნის შვილის გაჩენასთან დაკავშირებით და რა სახის დახმარებით შემიძლია ვისარგებლო მისი შეძენის შემდეგ?

ზ. მხედლიშვილი,
ყვარელი.

**პასუხი:** ბედნიერ დედობას გისურვებთ და გაცნობებთ, რომ შვილის გაჩენასთან დაკავშირებით სამუშაო ადგილიდან მოგეცემათ ერთდროული დახმარება 500 მანეთის ოდენობით. დეკრეტული შვებულების დამთავრების შემდეგ ბავშვის მოსავლელად, წლინახევრის შესრულებამდე, გეკუთვნით აგრეთვე ყოველთვიური დახმარება თვეში 230 მანეთის ოდენობით, 60 მანეთი პირადად თქვენი კომპენსაცია და 40-40 მანეთი პურის კომპენსაცია თქვენზე და პატარა შვილზე, ხოლო როდესაც ბავშვი წლინახევრისა გაგიხდებათ, თუ სურვილი გექნებათ, კვლავ შეგიძლიათ გააგრძელოთ უხელფასო შვებულება, სანამ ბავშვს 3 წელი შეუსრულდება და მიიღოთ დახმარება ბავშვზე თვეში 170 მანეთის ოდენობით. უხელფასო შვებულებაში ყოფნის პერიოდი ჩაგეთვლებათ მუშაობის განუწყვეტელ შრომის სტაჟში, და, რა თქმა უნდა, შეგინარჩუნდებათ სამუშაო ადგილი.

### კონსულტაცია

**კითხვა:** ვარ შრომის ინვალიდი, 48 წლის, დაზიანებული მაქვს ქვემო კიდურები, გადაადგილება მიჭირს, მაგრამ აზროვნება ნორმალური მაქვს, რის გამოც მუშაობას განვაგრძობ ბუღალტრად. 1992 წლის 15 იანვრამდე ვიღებდი პენსიას 120 მანეთს და ხელფასს 270 მანეთს სრულად. ამჟამად პენსია და ხელფასი გაორმაგდა. მაგრამ ჯერჯერობით არც ერთი ჩანს და არც მეორე. გთხოვთ, განმიმარტოთ, როცა მოწესრიგდება მათი გაცემა, მივიღებ თუ არა ორივეს ისევ სრულად?

გ. იობიშვილი,
ოზურგეთი.

**პასუხი:** პენსია და ხელფასის გაორმაგება თქვენი პენსიის გაცემას არ შეზღუდავს, ვინაიდან კანონის თანახმად ყველა სახის ინვალიდს მუშაობის პერიოდში პენსია და ხელფასი ეკუთვნის სრულად, მიღებული თანხების რაოდენობის მიუხედავად.

**კითხვა:** ვმუშაობ ერთ-ერთ დაწესებულებაში, რომელიც დღეს საბიუჯეტოდ ითვლება, მაგრამ უახლოეს მომავალში გათვალისწინებულია გადავიდეს სამეურნეო ანგარიშზე. როგორც პირადად მე, ისე სხვა თანამშრომლებს გვაინტერესებს, როგორი წესით ხდება ასეთ შემთხვევაში პურის კომპენსაციის გაცემა და რა სახსრებიდან?

ნ. აბდუშელიშვილი,
თბილისი.

**პასუხი:** მუშაკებს, რომლებიც დასაქმებული არიან საბიუჯეტო დაწესებულებებში, პურის საცალო ფასის ზრდით გამოწვეული დამატებითი ხარჯების კომპენსაცია თვეში 40 მანეთის ოდენობით მიეცემათ შესაბამისი ბიუჯეტიდან. დაწესებულების დაქვემდებარების მიხედვით, სამეურნეოანგარიშიანი საწარმოების და ორგანიზაციების მუშა-მოსამსახურეებს კი კომპენსაციები მიეცემათ ამ საწარმოთა საკუთარი სახსრების ხარჯზე, თვითღირებულებაზე მიკუთვნებით. ამავე სახსრებიდან უნდა მოხდეს კომპენსაციის გაცემა მუშა-მოსამსახურეთა იმ ბავშვებზე, რომლებიც სოციალური უზრუნველყოფის არსებული სისტემით არ იღებენ დახმარებებს ან პენსიას.

### დანიშვნა

**საქართველოს რესპუბლიკის მთავრობამ დანიშნა:**

ჯემალ ვალერიანის ძე გორგიაშვილი და დავით ალექსანდრეს ძე ზეიკიძე საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილეებად.

**დაინიშნა მთავრობის საგანგებო წარმომადგენლად**

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობამ ჯონი ფარჩავა დანიშნა საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის საგანგებო წარმომადგენლად საქართველოს დასავლეთ ზონაში.

### განათლება

**საქართველო უბრუნდება განვითარების, ცივილიზაციის იმ გზას, რომლიდანაც ამ 70 წლის წინათ გადაახვევინა ჩრდილოეთიდან მოვარდნილმა, ყველაფრის წამლეკავმა წითელმა ნიაღვარმა. ინგრევა ძველი ათწლეულების მანძილზე სისხლითა და მათრახით შეკოწიწებული, თავისუფალი საზოგადოების შენების შემაფერხებელი სტრუქტურები, რომელთა მსხვერპლად, სხვებთან ერთად, სახალხო განათლების სისტემაც იქცა. ალბათ, არც ერთ სფეროს არ განუცდია იმდენი ცვლილება, დაუსრულებელი ექსპერიმენტებისა და კონცეფციების ისეთი ქაოსი, როგორც მას, მაგრამ საბოლოოდ მაინც ვერა და ვერ ჩამოყალიბდა ეს „განათლების საბჭოური სისტემა"!**

მრავალი ღირებულება გაუფასურდა. ბევრი რამ, რითაც ერთ დროს თავსაც კი ვიწონებდით, დღეს, უბრალოდ, სატირალი გაგვიხდა, თუნდაც ის რად ღირს, მტერსა და მოყვარეს თვალში ნაცარს რომ ვაყრით, საქართველო მსოფლიოში პირველ ადგილზეა ყოველ ათას სულ მოსახლეზე უმაღლესდამთავრებულთა პროცენტული რაოდენობით, გვქონდა (და, ალბათ, დღემდე შემოგვრჩა) ეს პროცენტი და გვყავდა (და გვყავს) უამრავი დიპლომიანი „სპეციალისტი", რომელთა სათოფეზე გაკარებაც არ შეიძლება სკოლასთან, საავადმყოფოსთან, ფერმასთან...

დრო შეიცვალა, მაგრამ ძველი ფსიქოლოგია ჯერ კიდევ მყარად შემორჩა... შარშან ერთ-ერთ რესპუბლიკურ გაზეთში დაიბეჭდა მაშინდელი განათლების მინისტრის ქალბატონ ლია ანდღულაძის ინტერვიუ. იქ, სხვათა შორის, იგი ასეთ აზრს ავითარებდა: პროფტექნიკურმა სასწავლებლებმა „უკვე ამოწურეს თავისი ფუნქცია... ეს სასწავლებლები რუსული მოდელით შეიქმნა და სრულიად არ ითვალისწინებდა ჩვენს ეთნოფსიქოლოგიას, რომლის გათვალისწინებით წინდაწინვე მუშად არც ერთი მშობელი არ ზრდის შვილს, თუმცა შრომა და ხელობა არვის ეთაკილება".

სულაც არ ვაპირებ განათლების სისტემის სამომავლო კონცეფციებზე ვინმესთან კამათს. უბრალოდ პროფესიულ-ტექნიკური განათლების ასე ხელაღებით უარყოფა და მისი უკვე გარდაცვლილად გამოცხადება მომხვდა გულზე. პროფტექგანათლებამ, რა იარლიყებიც არ უნდა მივაკრათ, დადებითი როლი შეასრულა საქართველოს ეროვნული მუშათა კადრების აღზრდაში და კიდევაც შეუძლია შეასრულოს.

უმიზეზოდ არაფერი ხდება. პროფესიულ-ტექნიკური განათლების ამჟამინდელი სავალალო მდომარეობა „რუსული მოდელით" წარმოშობის კი არა, უვარგისი, მახინჯი სახალხო განათლების სისტემის შედეგია. არაპროფესიულმა, არაკომპეტენტურმა ხელმძღვანელობამ კი, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც პროფტექგანათლებამ დამოუკიდებლობა დაკარგა და სახალხო განათლებას შეუერთდა, როგორც იტყვიან, საბოლოოდ მოუთავა ხელი.

სწორედ არაკომპეტენტური ხელმძღვანელობის შედეგია, რომ ამ დარგის არსებობის 50 წლის მანძილზე რის ვაივაგლახით დაგროვილი მატერიალური ფასეულობა და შენობა-ნაგებობები ნიავდება, მოსწავლეთა კონტინგენტი მკვეთრად მცირდება, საწარმოო სწავლების ოსტატები სხვაგან მიდიან... ფაქტობრივად, მოშლილია სასწავლო-საწარმოო პროცესის ორგანიზაციული, ფინანსური და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის მექანიზმი. ერთი სიტყვით, ინჟინერ-პედაგოგიური კოლექტივების ინტელექტუალური და სასწავლებლების სასწავლო-საწარმოო პოტენციალი მხოლოდ სანახევროდ „მუშაობს" და არ შეესაბამება ეროვნულ კვალიფიციურ კადრებზე მოთხოვნასა და რესპუბლიკის სუვერენიტეტის მისაღწევად დასახულ ამოცანებს.

ასეთია რეალობა, მაგრამ ეს სრულიადაც არ იძლევა ამ დარგის ხელისკვრისა და დაწიხვლის საფუძველს.

როგორც მსოფლიო პრაქტიკა გვიჩვენებს, საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პროცესი გარდაუვალად იწვევს მასშტაბურ უმუშევრობას, ძაბავს სოციალურ ვითარებას. მას თან სდევს არაწარმოებლურ და მწარმოებლურ სფეროებს შორის კადრების გადანაწილების აუცილებლობა. ამ პრობლემათა დაძლევის პროცესში პროფტექნიკურ სასწავლებლებს შეუძლიათ აქტიურად ჩაერთონ გამოთავისუფლებული მოსახლეობის მომზადება-გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების საქმეში: დღეისათვის არსებულ სახელმწიფო ინსტიტუტთაგან ამ ფუნქციის შესრულება რეალურად მხოლოდ პროფესიულ-ტექნიკური განათლების სისტემას ძალუძს, რომელსაც აქვს ამის ნახევარსაუკუნოვანი გამოცდილება, საკმაოდ მდიდარი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა; ჰყავს სათანადო ინჟინერ-პედაგოგიური კადრები.

ოღონდ საფუძვლიანი რეორგანიზაციის შემთხვევაში!

წელიწადზე მეტია განათლების სამინისტროში, — ყოფილ პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტის მუშაკთაგან — შექმნილია საინიციატივო ჯგუფი (ალექსანდრე ეჯიბაძე, დინარა დავითაშვილი, ანზორ თხილაშვილი), რომელსაც კონცეპტუალურ მოსაზრებათა მთელი სისტემა აქვს შემუშავებული განათლების ამ დარგის რეორგანიზაციისა და მართვის დამოუკიდებელი სტრუქტურის თაობაზე. ამ დოკუმენტის ავტორები პროფტექგანათლების თეორიისა და პრაქტიკის ჩინებული მცოდნენი და გულშემატკივრები არიან, ამიტომ მათი მოსაზრებები ერთობ საგულისხმო და პროფესიულად დასაბუთებულია.

აი, როგორ გამოიყურება იგი ზოგადად.

სასწავლებლების საქმიანობის მთავარ მიმართულებად კვლავაც რჩება არასრული, და საშუალო სკოლის კურსდამთავრებულთა პროფესიული მომზადება როგორც მათი სოციალური გარანტიის ერთ-ერთი სრულფასოვანი საშუალება. ამით, სახალხო მეურნეობის კვალიფიციური კადრებით უზრუნველყოფის მხარდამხარ, განხორციელდება ახალგაზრდობის პროფესიული განათლების სახელმწიფო პროგრამა, რომელიც ბიუჯეტიდან დაფინანსდება.

შესაბამისი პროფილის სასწავლებლები მოამზადებენ კვალიფიციურ კადრებს ეროვნული გვარდიისათვის, სამხედრო პროფესიების სპეციალური ჩამონათვალის ფარგლებში. განსაკუთრებული მნიშვნელობა მიენიჭება იმ ახალგაზრდების პროფესიულ მომზადებას, რომლებიც ალტერნატიულ სამსახურს არჩევენ. ასეთი სამსახურის სამწლიანი ხანგრძლივობის გათვალისწინებით დაახლოებით 10 თვე მოხმარდება სასურველი პროფესიის შესწავლას, რაც ალტერნატიული სამსახურის ვადაში ჩაითვლება. პროფესიულად მომზადებული ახალგაზრდის ალტერნატიულ სამსახურში დასაქმების ეკონომიკური ეფექტი, წინასწარი გაანგარიშებით, განათლებაზე დახარჯული დროის მიუხედავად, 1,8-ჯერ გაზრდის შრომის ნაყოფიერებას.

ყალიბდება თვისობრივად ახალი, მობილური, ორგანიზაციულად დამოუკიდებელი სასწავლებლების ტიპი, რომელიც პროფესიული მომზადებისადმი დიფერენციული მიდგომის საშუალებას ქმნის: მომზადდეს ვიწრო, ოპერატიული დანიშნულების სპეციალისტი; ფამსხვილებული, ფართო პროფილის, მაღალი კვალიფიკაციის პროფესიონალი რთული ტექნოლოგიური პროცესებისათვის; შესაბამისი სასწავლო-საწარმოო ბაზისა და სათანადო კადრების პირობებში — მაღალი საფეხურის, კონკურენტუნარიანი პროფესიონალი (ოსტატი, უფროსი ოსტატი და სხვ.), რომელიც, პროფესიასთან ერთად, კომერციული საქმიანობის ორგანიზაციის საფუძვლებსაც ფლობს. ასეთ სასწავლებლებს მიენიჭება უმაღლესი პროფესიული სასწავლებლის ან ტექნიკური კოლეჯის სტატუსი.

კონტინგენტთან დიფერენციული მიდგომის შესაბამისად განისაზღვრება მომზადების, გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების ვადები. პროფესიების ჩამონათვალი, სასწავლო გეგმები და პროგრამები ეროვნულ ნიადაგზედ დაფუძნება, ხოლო სახელმძღვანელოები ხელახლა შეიქმნება და გაივლის აპრობაციას.

ახალი, საბაზრო ეკონომიკური ურთიერთობანი განსაზღვრავს მართვის ახლებურ მოდელს, რომელიც დაფუძნებულია სასწავლებლებთან ურთიერთხელსაყრელ, პარტნიორულ საწყისებზე, გამორიცხავს გაუმართლებელ ცენტრალიზაციასა და დიქტატს, ემყარება მართვის დემოკრატიულ პრინციპებს. სასწავლებლის კოლექტივი, მისი ხელმძღვანელობა არის წლიური დაფინანსებისა და მოგების ერთპიროვნული განმკარგულებელი, დამოუკიდებლად განსაზღვრავს თანამშრომელთა და მოსწავლეთა მატერიალურ სტიმულირებას.

ახალი ტიპის სასწავლებლების ჩამოყალიბება, სასწავლო-საწარმოო პროცესის თვისებრივად ახალ პრინციპებზე წარმართვასთან ერთად მოსწავლეთა, ოსტატთა და ინჟინერ-პედაგოგთა მატერიალური პირობების ძირეულად გაუმჯობესებასაც გულისხმობს.

სასწავლებელთა ქსელის საქმიანობას წარმართავს რესპუბლიკის მთავრობისადმი უშუალოდ დაქვემდებარებული პროფესიული მომზადების დეპარტამენტი. იგი იარსებებს როგორც ერთიანი სასწავლო-აღმზრდელობითი და საწარმოო-სამეურნეო კომპლექსი, პირველ ეტაპზე — რესპუბლიკის ბიუჯეტზე, შემდეგ — ნაწილობრივ ან სრულ სამეურნეო ანგარიშზე. სამეურნეოანგარიშიანობის განვითარების პროცესში, დეპარტამენტის აპარატის შენახვაზე ბიუჯეტის ასიგნება თანდათან შეიცვლება სასწავლო-სამეურნეო საქმიანობის შედეგად მიღებული სახსრებით. დეპარტამენტი პროფესიონალიზმზე დაფუძნებული ერთიანი პოლიტიკის გატარების გარანტი იქნება. და ბოლოს, ასეთი დეპარტამენტის შექმნა არ არის დაკავშირებული დამატებით ხარჯებთან, პირიქით, იგი დღეისათვის არსებული საბიუჯეტო ასიგნების ფარგლებში ჩამოყალიბდება და იმთავითვე იზრუნებს მართვის სტრუქტურის რადიკალურად შეკვეცისთვის.

ასეთია საინიციატივო ჯგუფის კონცეპტუალურ წინადადებათა დედააზრი, მიზანი გამოკვეთილია — საქმეს თავისი პატრონი ჰყავდეს!

როგორც ვხედავთ, საქმე სულაც არ არის ისე უიმედო, როგორც ზოგს სურს წარმოაჩინოს. ველოსიპედი უკვე გამოგონილია და ახლის გამოგონებას, უბრალოდ, უკვე არსებულის დახვეწა სჯობს, თორემ „განვითარებული სოციალიზმის" ეპოქაში გამჯდარი ჩვენი „ეთნოფსიქოლოგიით" შორს ვერ წავალთ.

მაგრამ მას შემდეგ, რაც საინიციატივო ჯგუფმა თავისი მოსაზრებები წამოაყენა, ბევრმა წყალმა ჩაიარა. შეიცვალა ხელისუფლება და სამი განათლების მინისტრი. საქმე კი ვერა და ვერ დაიძრა. დრო ფუჭად მიედინება. არადა, დრო ფული ღირსო, გამოცდილ ხალხს უთქვამს!

ალეკო ასლანიშვილი.

# ხელახლა ნუ გამოვიგონებთ ველოსიპედს!

**ანუ გვჭირდება თუ არა პროფტექნიკური სასწავლებელი?**

# დაგვიანებული პასუხი მეგობრებს

**„ვეჩერნი ტბილისის" კოლექტივის მიმართვის გამო, კოლეგების წერილი 21 თებერვალს დაიბეჭდა. დრო თითქოს საკმაო გავიდა, მაგრამ პრობლემები დარჩა და რედაქციისა და გამომცემლობის ურთიერთობა ისევ დაძაბა. ამიტომ როგორც პროფესიონალი პოლიგრაფისტი თავს ვალდებულად ვთვლი დავუბრუნდე „ვეჩერნი ტბილისის" კოლექტივის წერილს.**

მოვიყვან ერთ ნაწყვეტს ამ მიმართვიდან: „ჟურნალ-გაზეთების გამომცემლობა „სამშობლომ" (ყოფილი საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობა), რომლის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა ათწლეულების მანძილზე იქმნებოდა, რესპუბლიკის მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა შემოსავლების ხარჯზე, საქართველოს ჟურნალისტთა მრავალი თაობის გარჯითა და ოფლით, სულ მალე მას შემდეგ, რაც გამოქვეყნდა მთავრობის ბრძანებულება, საქართველოში გამომავალი ყველა ჟურნალ-გაზეთი არარენტაბელურად გამოაცხადა და აიძულებს სურს მათთან ურთიერთობა ააგოს ისეთ პირობებზე, რომლებიც მეტად სავალალო პერსპექტივებს უქადის მათ. აქ არ მალავენ იმას, რომ ჟურნალ-გაზეთებისაგან განთავისუფლებით გამომცემლობის შემოსავალი გაიზრდება. ამასთან ცოტა ვინმეს თუ ადარდებს, რომ სამთავრობო დადგენილების ასეთი ინტერპრეტაცია გამოიწვევს მთელი რიგი გამოცემების დახურვას, რომლებიც უბრალოდ ვერ შეძლებენ მონოპოლისტ-გამომცემლობას გადაუხადონ საარაკო თანხა ქაღალდისა და მომსახურებისათვის".

ამ სიტუაციიდან გამოსავალს ისინი ხედავენ იმაში, რომ გამომცემლობა „სამშობლო" მთელი პოლიგრაფიული კომპლექსი გადაეცეს ყველა გაზეთისა და ჟურნალის კოლექტივებს საკუთრებად. ალბათ, მეგობრებს ფიქრობენ, რომ ამ აქციის განხორციელების შემდეგ ქაღალდი და სტამბის მომსახურება უფასო იქნება და პოლიგრაფისტების ჩაურევლად დაიბეჭდება ყველა ჟურნალ-გაზეთი. მტკიცება იმისა, რომ ეს ცისფერი ოცნებაა, ალბათ ზედმეტია.

ორიოდე სიტყვა ისტორიიდან. არც თუ დიდი ხნის წინათ თითქმის ყველა გამოცემა, რომელიც ჩვენთან იბეჭდებოდა, კომპარტიის კუთვნილებად ითვლებოდა და მოგებაც, გარდა 15 პროცენტისა, რომელიც სტამბას რჩებოდა, პარტბიუჯეტს მიჰქონდა. სტამბის ტექნიკური აღჭურვა და რედაქციების მომსახურება ამ ნარჩენი პროცენტების ხარჯზე ხდებოდა და ძირითადად კი იმ პოლიგრაფისტების შრომისა და ოფლის ხარჯზე, რომლებიც ზემოთ დასახელებულ მიმართვაში არც კი არიან მოხსენიებული. არადა სწორედ ისინი, სწორედ ამ კოლექტივში თავდაუზოგავად, ვიტყოდი ენთუზიაზმით, და შრომის მინიმალური ანაზღაურებით (ასე იყო ყოველთვის და ამ ფაქტს ვერავინ უარყოფს) იღვწოდნენ. ეს მაღალკვალიფიციური კოლექტივი თუ დავაქუცმაცეთ, ხოლო „ვეჩერნელები" გვთავაზობენ, საქმე დაიღუპება.

საქართველოს ჟურნალ-გაზეთების გამომცემლობა „სამშობლო" ფაქტობრივად არის საკმაოდ ძლიერი პოლიგრაფიული ბაზა — სტამბა და არა გამომცემლობა, რომლის ფუნქციებიც მას არასდროს ჰქონია და არც შეუსრულებია. გამომცემლობა მას იმ დროს დაერქვა, როცა გამომცემლობებს სტამბებთან შედარებით ანაზღაურების უფრო მაღალი კატეგორია ჰქონდა.

პოლიგრაფიული მრეწველობა სპეციფიკური დარგია. მისი მართვა პროფესიონალების საქმეა და არა დილეტანტების, რომელთა გამო ქართული პოლიგრაფია სერიოზულად ჩამორჩა თანამედროვე ტექნოლოგიისაც და შრომის ორგანიზაციასაც.

სამწუხაროდ, არც დღემდე, არც დღეს საქართველოს პოლიგრაფიულ მრეწველობას ჯეროვანი ყურადღება არ ექცეოდა და არც ექცევა. მაგრამ უარესი შეიძლება მოხდეს, თუ მთავრობა მიიღებს კოლეგა-ჟურნალისტების წინადადებას და დააქუცმაცებს სტამბას. ასეთი ბაზის ხელმეორედ აწყობასა და მისი გამართული მუშაობის უზრუნველყოფას დიდი დრო დასჭირდება.

**სტამბის მონოპოლიის შეზღუდვა დანაწევრების გზით მისი ორგანიზებისა და მომსახურების გამო სასურველ შედეგს არ გამოიღებს. საამისოდ უპრიანია მცირე საწარმოთა შექმნა, რისი განხორციელება უკვე ბევრ კომერციულ გამომცემლობას ხელეწიფება.**

საზღვარგარეთის ქვეყნებში, ეკონომიკური განვითარების მაღალი დონისა და ტრადიციის მიუხედავად ძირითად პოლიგრაფიულ საწარმოთა აბსოლუტური უმეტესობა მცირე, ზოგჯერ ხელოსნური (სადაც რამდენიმე კაცი მუშაობს) საწარმოებია. მაგალითად, საფრანგეთში პოლიგრაფიულ საწარმოთა რიცხვი 22500 აღწევს; იტალიაში — 15740, გერმანიაში — 7539, შვეიცარიაში — 4000 და ა. შ. საქართველოში კი პოლიგრაფიულ საწარმოთა რიცხვი 100 არ აღემატება.

დღეისათვის მსოფლიოში პოლიგრაფიული მრეწველობის განვითარებას უდიდესი ყურადღება ექცევა და სამაგალითოდ მინდა ჩამოვთვალო ის ღონისძიებები, რომლებიც ამ ბოლო ხანს ჩატარდა მსოფლიოში.

ოცდაშვიდი წელია არსებობს პოლიგრაფიული სამეცნიერო ინსტიტუტების საერთაშორისო ასოციაცია IARIGAI, რომელიც აერთიანებს 19 ქვეყნის 32 ინსტიტუტს. ამ ასოციაციის ინიციატივით კოპენჰაგენში 1990 წლის 30-31 აგვისტოს გაიმართა კონფერენცია (ორგანიზატორი იყო დანიის უმაღლესი პოლიგრაფიული სკოლა — DGH), სადაც განიხილეს საკითხი: „აქვს თუ არა მომავალი დამოუკიდებელ კვლევით ინსტიტუტებს".

შანხაიში, ჩინეთსა და იტალიას შორის ტექნიკური თანამშრომლობის პროგრამით გათვალისწინებულ ღონისძიებათა შესაბამისად გაიხსნა პოლიგრაფიული სკოლა, რომლის პროექტის რეალიზაციაც მოახდინა პოლიგრაფიული მრეწველობისათვის დანადგარების მწარმოებელმა იტალიის ასოციაციამ AGIMGA.

ყოველწლიურად მრავალ ქვეყანაში ეწყობა პოლიგრაფიული მრეწველობისადმი მიძღვნილი გამოფენები და ბაზრობები. 1991 წლის 4-11 სექტემბერს ჩიკაგოში მოეწყო ერთ-ერთი დიდი გამოფენა "Print-91", რომელსაც დაეთმო 80 ათასი $м^2$ ფართობი, სადაც თითქმის 1000 ფირმის ექსპონატები განლაგდა. გამოფენის ორგანიზატორი იყო პოლიგრაფიისათვის გამოფენათა მომწყობი სპეციალიზებული ფირმა CASC, სპონსორები — ამერიკის მბეჭდავთა ეროვნული ასოციაცია NAPL, პოლიგრაფიული დანადგარების დამამზადებელი ეროვნული ასოციაცია NPES და ამერიკის პოლიგრაფიული მრეწველობის ასოციაცია PIA.

პოლიგრაფიული დანადგარებისა და მასალების მეორე გამოფენა „Grtika-91" მოეწყო 5-13 ოქტომბერს პორტუგალიაში. ორგანიზატორი — პორტუგალიის მრეწველთა ასოციაცია.

მერვე ბაზრობა Fugrama მოეწყო ანტვერპენში 2-5 ოქტომბერს. თავიანთი ექსპონატები აქ წარმოადგინა პოლიგრაფიული დანადგარებისა და მასალების დამამზადებელი ფირმების უმრავლესობამ.

1990 წლის დეკემბერში ჟენევაში გაეროსთან არსებულ შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის შტაბბინაში გაიმართა პოლიგრაფიისადმი მიძღვნილი ტექნიკური თათბირი, რომელსაც მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყნის წარმომადგენელი დაესწრო და რომელზეც განიხილეს ისეთი პრობლემური საკითხები, როგორიცაა: დასაქმებისა და ანაზღაურების გარანტიები სტრუქტურული და ტექნოლოგიური ცვლილებებისას პოლიგრაფიულ მრეწველობაში, კადრების მომზადება და გადამზადება; შრომის პირობები პოლიგრაფიაში, დარგის პერსპექტიული განვითარება და სხვა.

ეს ჩამონათვალი იმიტომ მოვიყვანე, რომ მინდა საზოგადოებამ დაინახოს, თუ რა დონეზე დგას პოლიგრაფიული მრეწველობის განვითარება მსოფლიოში, ხოლო საქართველოში, სამწუხაროდ, ამ მიმართებით პრაქტიკულად არაფერი კეთდება. მინდა, რომ ამ წერილს აქტიურად გამოეხმაურონ ჩემი კოლეგები — პოლიგრაფისტები და ერთად განვიხილოთ ის უამრავი პრობლემა, რომლებიც ქართულ პოლიგრაფიულ მრეწველობას აწუხებს და რომელთა აქ ჩამოთვლაც, რა თქმა უნდა, შეუძლებელია.

ჯემალ ქარაზანიშვილი,
პოლიგრაფისტი.

# სვეტიცხოვლის წმინდა მიწა მიგვარებს



[illegible]

ქართველი ხალხის მონარქიული ტრადიციები ... დემოკრატიული ... საქართველოს მონარქისტულ-კონსერვატიული პარტია.

---

## რეზო ამაშუკელი



# და გეკითხები...

თამრიკო ცაგარეიშვილს, ვინც უკრეშანდელ მძიმე დღეებში ერთგულად იდგა სიმართლის მხარეზე.

„რამეთუ ესე არს მცნებაი ჩემი, რაითა იყუარებდით ურთიერთას, ვითარცა მე შეგიყუარენ თქუენ".

15. 12. სახარება იოანესი.

საგურამოდან
გავყურებ ზადენს,
სად მწვანედ შხივის ვარსკვლავის ზოლი...
რანი ვართ მაინც
რა ცოდვა გვადევს,
ამდენი წყევლა საიდან მოდის!?..

ეს
გაზაფხულიც არ-არის თითქოს,
მაშ რად ლალანებს
ბალახით კორდი?
...და ვიმეორებ მეგობრის სტრიქონს: —
„საქართველოსთვის ბიჭებო სწორდით!"

და ქსოვს უბეში ობობა სევდას
გაფრინდა სული
ზუგდიდს და ჭყონდიდს...
— სად გაქრა ნეტა
წინაპართ ჩვენთა,
სიმტკიცე, რითაც ვზეობდით ოდით!?..

გაუძლებს ქართვლის დაღლილი ქედი
იმ უღლის ზიდვას,
რაც ადგას ვალად?
შენ გეკითხები დაფერილს სევდით,
გურანდუხტივით ტანადს და თვალადს!?

რით მოგილოცო ეს გაზაფხული
რჩეულო ჩემო,
შვილო და დაო!?
— ოდეს შეშლილი და დაზაფრული
ქართველი ისევ ომობს და დაობს!?

აპრილის ბაღებს ასხიათ ცრემლი
და უამური გრძნობის თანხლებით,
მეხლება ქუჩა
აზრებით ჭრელით
და უტიფარი სახის დახლებით...

თელავენ ფეხით
და წვავენ წიგნებს,
ბოროტი ღვარძლი დადის კარდაკარ!
..ვჭვრეტ ყველა დროში გამოცდილ
ციგნებს, —
დღესაც რომ ისევ დგანან ქადაგად.

ვინაც აგორა წითელი კვერცხი
დღეს სულ სხვა ხმაზე
ჭიკჭიკებს იგი
და

მახვეწარი ტახტის და კვერთხის
დგას სასახლესთან მედროვეთ რიგი!...

შენ მაინც იცი
არ ვარ პირფერი,
არ მდომებია სხვათა პორფირი,
ვიარე ჩემთვის
ჩემი სიმღერით
და მუდამ მძულდა კაცი ორპირი!

მაგრამ რა ვუყოთ
გულს სისხლით დაცლილს,
დანგრეულ მამულს,
ამღვრეულ სულებს?!...
— შევირგო შველად მოსული კაცი
თუ ისევ ვანდო
სამშობლო სულელს?

შესძლებ თეთრისგან შავის გარჩევას
იმ ჭეშმარიტი დვრიტის მიგნებით?
— დიახ,
მამული ელის არჩევანს
იქნები ქვეყნად თუ არ იქნები!

და გეკითხები: — აწ საით ივლი,
ვინ გცხებს მალამოს,
ვინ მახვილს დაგცემს!?
— რას უპასუხებ ამ დამწვარ თბილისს,
ამ თბილ საფლავებს
რა პასუხს გასცემ?!...

მე სიკვდილამდე ვიდგები ლოცვად,
ისემც სიმართლით მდგარი მენახე!
...საღამომ მღვრიე არაგვი მოსვა
და შეერია
შემკრთალ ვენახებს...

ბუნება უთქმელ მონანიებით
ილვიძებს, მაგრამ
არ მიხარია...
— გავყურებ ცას და ხელში იებით
ვჭვრეტ სამშობლოზე დახრილ მარიამს!

წავალ,
დავდგები მუხლებზე ზადენს,
სად მწვანედ შხივის ვარსკვლავის ზოლი...
— რანი ვართ მაინც,
რა ცოდვა გვადევს,
ჩვენი საშველი დადგება როდის?!

1992 წ. 8 აპრილი.

---

## მხატვრის ალბომიდან



სვანეთი.

მხატვარი [illegible]

---

## ამ ტრიალ ქვეყანაზე

### „ფრანკფურტერ რუნდშაუ" გენშერის ვიზიტის შესახებ

ჟურნალისტი მარტინ უინტერი გაზეთ „ფრანკფურტერ რუნდშაუში" წერს, რომ გერმანიის საგარეო საქმეთა ფედერალური მინისტრი ჰანს-დიტრიხ გენშერი საქართველოში მარტო დიპლომატიური ურთიერთობის დასამყარებლად არ ჩამოსულა. იგი თავისი პირადი მეგობრის ედუარდ შევარდნაძის სანახავად და მხარის დასაჭერად ესტუმრა საქართველოს. პრესკონფერენციაზე გენშერიც და შევარდნაძეც ძალიან თბილად მიმართავდნენ ერთმანეთს. გენშერმა აღნიშნა, რომ შევარდნაძემ ხელი შეუწყო გერმანიის გაერთიანებას და საქართველოს გათავისუფლებას. ბატონი შევარდნაძე ძალიან კმაყოფილი იყო გენშერის ვიზიტით, რადგან ამით მან თავის მოწინააღმდეგეებს დაანახა, რომ ევროპის დემოკრატია მას მხარს უჭერს. მარტინ უინტერი წერს, რომ გენშერის ვიზიტის შემდეგ გერმანიის მიერ საქართველოს დიპლომატიური ცნობის გარდა დაიდება მთელი დასტა მრავლისმომცველი ორმხრივი სავაჭრო-პოლიტიკური შეთანხმებები, მაგრამ გერმანული ფული საქართველოში ჭერჭერობით არ გაიგზავნება. ამისათვის საჭიროა თბილისმა აღიაროს, რომ მემკვიდრეა საბჭოთა კავშირის მიერ აღებული საგარეო ვალებისა.

### როგორც ამტკიცებენ

მოსკოვის „კომსომოლსკაია პრავდა": ნახიჩევანის რესპუბლიკის მეჯლისის თავმჯდომარემ ჰეიდარ ალიევმა განაცხადა, რომ გავრცელებული აზრი, თითქოსდა ყურანზე დამეფიცოს ხელისუფლების სათავეში არ მივალო, არ არის სწორი. თუ ხალხს დავჭირდები, მაშინ მათ ნებას ანგარიშს გავუწევ.

რადიო „თავისუფლება": მონკონგში არსებული „აზია-ბანკი" აპირებს ყოფილი საბჭოთა კავშირის შუა აზიის ხუთი მუსლიმანური რესპუბლიკა თავის კლიენტთა რიგებში მიიღოს.

რადიო „თავისუფლება": შეერთებულ შტატებში მიმდინარე პრეზიდენტის საარჩევნო კამპანიის დროს პრეზიდენტი ჯორჯ ბუში აპირებს 84 მილიონი დოლარი დახარჯოს. ეს თანხა სახელმწიფო და კერძო შემოწირულებისგან შედგება. გასულ საპრეზიდენტო არჩევნებში ორმა უძლიერესმა პარტიამ — რესპუბლიკურმა და დემოკრატიულმა პარტიებმა მთავრობისაგან 9-9 მილიონი დოლარი მიიღეს. მიმდინარე არჩევნებში ერთ-ერთმა კანდიდატმა პოლ ცონგასმა სახსრების უქონლობის გამო შეწყვიტა საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობა.

ამ ტრიალ ქვეყანაზე

---

## მინინოველები

### რევაზ მიშველაძე



ავი სიზმარივით ჩაიარა ჩემთვის შარშანდელმა წელიწადმა. ჩემი ცხოვრების ჩვეულებრივ წესს (საწერი მაგიდა — სამსახური — საწერი მაგიდა) გამოვეთხოვე და ჩემმა შთაგონებამ თუ პოზიციამ, ქუჩაში, გამომიყვანა, პოლიტიკაში ჩამრთო. შემოქმედებისთვის ვიღას ეცალა გაშიშვლებული ნერვების იმ სკდომა-აფეთქებაში, ამიტომაც, ჩემდაუნებურად, ახალ ჟანრზე — ჩანახატ-ნოველაზე გადავსულვარ. ზოგიერთ მათგანს ვთავაზობ მკითხველს და ვთხოვ გაითვალისწინოს, რომ, ამჯერად, ეს ჩემთვის უჩვეულო, დეპეშური სტილი დაღხინებული ცხოვრების მოტანილი როდია.

## ბუში და მე

ბედნიერესი კაცი ხარ, ჩემო გერა, შენ. „ვაშინგტონ რამეო"? წელან მკითხე. მე ვიკითხე, თორემ შენ რა გიჭირს, ნაშვილი გაქვს და ეგ არი. ჩვენი კლასიდან მხოლოდ შენი მეხარება, ხსვები არავისი. მარტო შენ ამოგარჩინდა ჭკუა და გამჭრიახობა პროფესიის არჩევაში. ჩემი ფანჯრიდან ხელისგულივით ჩანს შენი სტადიონი. რამდენჯერაც შევავლებ თვალს, კეთილი შურის ცრუანტელი გამივლის თავიდან ფეხებამდე. იყოს მეთქი, გულში ვიტყვი, ეს ერთი მაინც იყოს მშვიდი ლადი და ბედნიერი. ხომ არ დამცინი? ეს მარჯვენა გამიხმეს მაშინ და ენა რეზინად მექცეს. რას ქვია, დაგცინი. ვერაფრით ვერ დავიჯერებ, არ იცოდე შენ, რა ბედნიერი კაცი ხარ. გამოდიხარ დილით ათ საათზე სტადიონზე, გამოფრთხიალდებიან პინგვინის მართვებივით კოხტად ჩატრუსიკებული ბიჭები და გოგოები: „ორი წრე ძუნძულით, თხუთმეტი წუთი რაზმინკა და სიგრძეზე ხტომა გაზომვით!". — გასცემ განკარგულებას, ჩამოჯდები გრძელ სკამზე, ხუფთა შაერს ულაპავ. დატყაპუნობენ ბავშვები იგვლივ. თორმეტ საათზე შეხვალ ფიზკულტურის ინსტიტუტის ბუფეტში, უშაქრო ჩაის დალევ. გამოხვალ პირველზე. თუ მოვიდა უფროსი ჯგუფი, ხომ კარგი, თუ არა და თვლემ შემოდგომის მზეზე, კოხტად, ლამაზად, მზეგადახრილზე მეტრმზომს დახვევ, „ხელყუმბარებს" საწყობში შეყრი, დარაჯს დაუბარებ, სტადიონზე ძროხა არ შემოვიდესო და გაზწევ სახლისკენ. ნელა, დინჯად, თავაწეული, სხდეფწყობილი.

აბა ახლა ჩემი დღე ნახე: დილას ექვს საათზე კოშმარული სიზმარი ნჭღრევით გამომაღვიძებს. თვალებდაბერილი და პირამლაშებული ერთ საათს ტრანზისტორს ვატრიალებ. „თავისუფლების" ქართული გადაცემები მიწევს წნევას და სულს მიხუთავს. არავითარი ახალი ინფორმაცია. ორი კვირის წინანდელ, უნიჭო ინტერვიუს, ვინ იცის, მერამდენედ იმეორებენ. კიდევ ერთხელ ვიტყვი: ხვალიდან შენს მომსმენს ექცა შავად მეთქი, მაგრამ „ხვალ" ყველაფერი მეორდება. რვაზე ვდგები, პირს ვიხოკ-ვიტყავებ და მაგიდასთან ვჭდები. კარგა ხანს პირდაღებული შევყურებ კედელზე გაკრულ „საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის რუკას (1918-21). ერთი ლიგის მიერ ცნობილ საზღვრებში". მერე გუშინდელ ნოველას სამ-ოთხ უნიჭო სტრიქონს ვუმატებ, კიბეზე ჩავდივარ და ბენზინგაწყალებული „ჟიგულის" დაქოქვას ვცდილობ. ათ საათზე „თვისტომში" მივფართხუნდები. ვლადიკავკაზიდან გამოქცეულ ქართველებს ვშველი ვითომ, ჩემი ჭკუით. რიგში ჩამდგარ მთხოვნელთაგან პირველ შვიდ კაცს ვღებულობ, დანარჩენებს ბოდიშს ვუხდი და ხვალისთვის ვიბარებ. ვწერ შუამდგომლობებს პრეფექტებთან: ესა და ეს კაცი ლტოლვილია, სახლი გადაუწვეს საქონელი წაართვეს, ცოლ-შვილი ცის ანაბარა უყრია, იქნებ თავშესაფარი მისცეთ, თავის ქვეყანაში ქართველ კაცს მიწა მიუზომოთ მეთქი. ზოგი პრეფექტი გულისყურით ეკიდება ჩემს შუამდგომლობას, ზოგი ფეხებზე იკიდებს.

„თვისტომიდან" „ლიმილის" რედაქციაში გავრბივარ. მორიგე რედაქტორის (მეორე თვეა სამსახურში არ მოსულა) ჯანმრთელობის ამბავს ვკითხულობ, კარებთან მდგარ ერთ-ორ გრაფომანს ვატყუებ, შემდეგ ნომერში იქნება მეთქი, სტამბაში ყოველ მეორეს ვეჩხუბებ-ვეფერები და ასე თორმეტისთვის გამომცემლობაში ვარ. გულდადუღებული ვუსმენ „ქაღალდი არ არის", „ფორზაცი არ არის", „ფული არ არის", ათასჯერ გაგონილ მელოდიას, ოთახიდან-ოთახში გავდი-გამოვდივარ, იქნებ ვინმეს საიმედო რამ წამოვაცდენინო მეთქი და მერე ხელჩაქნეული მწერალთა კავშირს მივადგები. პირველად ბულალტერთან შევდივარ, გულისფანცქალით ვეკითხები: მუხრან მაჭავარიანს ჭერ ხომ არ მოვუხსნივარ მეთქი კონსულტანტის ნოლ ოცდახუთი შტატიდან. ჩემთვის ყველაზე საყვარელ დარბაზში, მწერალთა კავშირის ბიბლიოთეკაში ახალ გაზეთებს ფეხზე დამდგარი ვათვალიერებ და უნივერსიტეტისკენ გამოვრბივარ.

ჭერ ლექციების ცხრილს მივვარდები. ცხრილში ჭერ ისევ ვარ. მერე გალაკტიონის კაბინეტის კარებთან ლაბორანტობის მთხოვნელთა ჯგუფს ცრუ დაპირებით ვისტუმრებ, ლექციას წამდაუწუმ საათზე ყურებით, სხაპასხუპით ვკითხულობ, სტუდენტებს, საქართველოს თავისუფლებისთვის მებრძოლი მარო მაყაშვილის მაგალითს შევახსენებ და დეკანატში გავრბივარ. ოპოზიციის წმინდა ხომ არ დაწყებულა მეთქი, ვეკითხები კორნელს, ჭერ არაფერი უთქვამთო, მამშვიდებს. გარეთ გამოსული კიბეზე შეჭუჩულ ორატორებს ვხვდები. ჩანს, დღესაც მიტინგობენ.

გუშინ ხომ იყო მიტინგი, დღეს რაღა საჭიროა მეთქი, ვეკითხები ჩემსკენ მობრუნებულ ლიდერს, ბრძოლის რაიმე ახალ ფორმას მივმართოთ, თორემ მოსწყინდა ხალხს ერთი და იგივეს ლაპარაკი მეთქი. სხვამ ვინ გამიგონა და დამიჭერა, რომ ამან დამიჭეროს.

ენაგადმოგდებული, ძალაგამოცლილი ვბრუნდები სახლში და „მოამბის" მოლოდინში ტელევიზორთან ვგდივარ, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით.

სექტემბერი, 1991

## გალაკტიონი რა შუაში იყო

გალაკტიონის დაბადების ასი წლისთავის იუბილის გადახდა სხვა უფრო „მნიშვნელოვანი" საკითხებით დაკავებულ მწერალთა კავშირს გადაავიწყდა და „ლურჯა ცხენების" ავტორის თაყვანისმცემლებმა გადავწყვიტეთ, უნივერსიტეტში გადაგვეხადა დიდი პოეტის იუბილე.

ორგანიზაციული საკითხები მე დამევალა.

დავიდე წინ მწერალთა კავშირის ცნობარი და დავიწყე რეკვა.

ბევრი მწერალი სიამოვნებით და მადლობით იღებდა ჩვენს თხოვნას გალაკტიონის იუბილეზე სიტყვით (ან ლექსით) გამოსულიყო, ზოგი ანტურაჟზეც ზრუნავდა (სხვა ვინ გყავთ მოწვეულიო), რამდენიმე ჩემმა კოლეგამ შიშგარეული სიფრთხილე გამოიჩინა (ძალიან მინდა მოსვლა, მაგრამ ვაითუ თავჯდომარე გამიჯავრდეს, ხელფასს მაძლევს და მომხსნის, დავილუპებით), ზოგს იმთავითვე ჰქონდა გადაწყვეტილი, არ მოსულიყო, მაგრამ „ჯანმრთელობის მოულოდნელი გაუარესების ალიბი" რომ შეენარჩუნებინა მაშინვე დამთანხმდა; მოვალ, აბა, რას ვიზამო.

გალაკტიონის თანამედროვე ერთ ღვაწლმოსილ პოეტს — ბატონ ბესარიონს დავურეკე: ასე და ასე მეთქი, 5 დეკემბერს გალაკტიონის იუბილეს ვმართავთ და უნდა დაგვამშვენო მეთქი.

შენ აგაშენა ღმერთმა, რომ გაგახსენდით, ეს რა მშვენივრად მოგიფიქრებიათო, მოვალ, აბა, რას ვიზამო, მოვალ და სიტყვასაც ვიტყვიო. მაგრამ! ერთ რამეს გეტყვი და კარგად დაფიქრდი, ღირს თუ არა ჩემი მოწვევაო:

სამწუხაროდ, მწერალი იოანე მინჩხი ვერ მიტანს მეო. ბევრჯერ ვცადე შერიგება, მაგრამ პირივით ვძულვარ ამ კაცს და რა ვქნა მეო. სადაც დამინახავს დარბაზში, სუფრაზე, წამოხტება და გარბის იმ ადგილიდანო. ისე, თუ სიმართლე გინდა, ჩემზე მეტი დამსახურება იოანე მინჩხს მიუძღვის გალაკტიონის წინაშე, წიგნიც გაულამაზა და ლექსებიც დიდებული დაუწერაო. ამიტომ საქმისთვის ასე სჯობია, ვითომ ჩემთვის არაფერი გითქვამს, მინჩხი დაპატიჟეთ და ის მოიყვანეთ, მე ტელევიზორთან მივჯდები და იქიდან გიყურებთ, ასეთი ყოფილა ჩემი ბედიო.

რას ბრძანებთ, ბატონო, თქვენი ერთმანეთში უმძრახობა რა მოსატანია, გალაკტიონის სიყვარულმა უნდა გაგვაერთიანოს, თქვენ თქვენი ადგილი გაქვთ პრეზიდიუმში, იმას თავისი მეთქი.

მე ბატონო, არ გავურბივარ მასთან ერთად ჭდომას, ან გამოსვლას, თვითონ გაურბისო. მოვალ, მაგრამ უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდებით, თანაც, გალაკტიონის იუბილეზე მე თუ არ ვიქნები, ქვეყანა არ დაიქცევა. იოანე მინჩხის არყოფნა კი ძალიან დაგაკლდებათო.

გადავწყვიტე, პატარა ეშმაკობისთვის მიმემართა:

დავურეკავ ბატონ იოანეს და თუ მკითხა ბესარიონზე, ვეტყვი, რომ არ მოგვიწვევია მეთქი.

დავურეკე: ვიცი რაზეც მირეკავ, ძალიან მიყვარხარ, დიდ პატივს გცემ, ცრაცა შეეხება გალაკტიონს, შენ კარგად იცი, ჩემთვის რა არის, მაგრამ მაგ საღამოზე ვერ მოვალ და, თუ ძმა ხარ, არ გეწყინოსო.

რატომ მეთქი, ბატონო იოანე.

რატომ და ჩემამდე ხმა მოვიდა, რომ ბესარიონი მოგიწვევიათ, ჩვენი ცხვრები კარგა ხანია, ერთად ვერა სძოვენ, ტყვილად გუნება უნდა მომეშხამოს და საღამო ჩაგამწაროთო.

არ მოგვიწვევია მეთქი, ვიცრუე.

არაო, ნამდვილად ვიცი, მოწვეული გყავთო.

არა და, რომ იცოდეთ, რა დიდებული პოეტი და კაცური კაცია, რომ იცოდე, მართლაც, როგორ დააკლდა გალაკტიონის იუბილეს.

არც არაფერი დამიმატებია და არც არაფერი გამომიკლია, გიჭ ამბეთ შეულამაზებლად. ახლა თქვენ თვითონ განსაჯეთ, რომელი იყო მართალი მათ შორის.

ისე, ჩვენს შორის დარჩეს და გალაკტიონი მაინც გალაკტიონია. იმ საღამოს გალაკტიონმა აუხსნელი მიზეზის გამო, ორად გაყოფილი დარბაზი ერთ მუშტად შეკრა ჭეშმარიტად თავისუფალი, დემოკრატიული საქართველოსათვის ბრძოლაში.

დეკემბერი, 1991.

## ჩემი საქმე პატარაა

გუშინ დასარბევთა სია რომ დაგვირიგეს, მე კოხლამე და კაკაბაძე შემხვდა. დილით ვეირიგებენ გვარებსაც და მისამართებსაც. პირდაპირ იქვე, კარვებთან მოაქვს კომისრის მდივან გოგოს. რა უნდა ვქნათ და, უნდა მოვძებნოთ ჩვენ-ჩვენი „გვრიტი", ავუტეხოთ ლანძღვა-გინება, შევარცხვინოთ ხალხში. თუ საშუალება იქნა, კაბინეტშიც შევუვარდეთ, მივუჯახ-მოვუყაროთ, რაც მაგიდაზე უდევს, დავუხიოთ ქაღალდები, დავემუქროთ, რომ, თუ ჭკუას არ მოეგება, უარესს ვუზამთ. ესაა ჩვენი საქმე. რომ გითხრა, ადვილია მეთქი, არ ვიქნები მართალი. პირველად, სიმართლე გითხრა, მეძირდა. უშვერი სიტყვებიც ძნელად მეთქმევინებოდა... „შე ცუდო, შე დეგენერატო", მეტი არაფერი ვიცოდი, ახლა ისე ვიგინები, რომ ბაზრის ბიჭი ვერ მაჯობებს.

იქნებოდა ასე დაახლოებით ორი საათი, კოხლამიძიდან მობრუნებული (არ დამხვდა სამსახურში, იმალება. უცნობი ქალი გეძებდაო, რომ ეუბნებიან, თურმე, გულყრა ეწყება). რუსთაველზე მოვდიოდი. ერთ საათს კარავში წავისვენებ და კაკაბაძესთან წავალ-მეთქი, ასე მქონდა გადაწყვეტილი. ერთიც ვნახოთ, მანველიძე გამოვიდა წიგნის მაღაზიიდან, ოპერის წინ რომ ჩასახვლელია, იქ ჩასვლას აპირებს. მანველიძე ჩემს სიაში არ იყო, მაგრამ ასეთ შემთხვევას როგორ გავუშვებდი. ხომ „იცი, მტერია", რა მნიშვნელობა აქვს, ვინ დაუფუთებს ანგელოზებს.

ბატონო მანველიძე, თქვენთან თუ შეიძლება, ერთი შეკითხვა მაქვს მეთქი, წინ გადავუდექი.

გისმენთ, ვისთან მაქვს საუბრის პატივიო.

მოქალაქე ვარ, დედა ვარ მეთქი. როდიდან გახდით ასეთი მოკრძალებული და კეთილი-მეთქი.

ვერ გავიგე, რას მეუბნებითო, წასვლა დააპირა.

ჩავაფრინდი საყელოში.

შე გათახსირებულო, რა გინდა რომ შეჭამე ის კაცი, ხომ იცი, იმის ფრჩხილადაც არ ღირხარ-მეთქი.

გაიწია, არ ვუშვებ ხელს.

სარკეში რატომ არ იხედები, შე სულით და ხორცით მახინჯო, ვის ედრები, რას იჭაჭები, იმას შენოდენა ჭკუა ნეკა თითში აქვს მეთქი.

ვეუბნები ამნაირ მაგარ-მაგარ სიტყვებს, გაფითრდა, გაყვითლდა, რაღაცას ჩიფჩიფებს, მოგროვდა ხალხი.

რა გნებავთ, ქალბატონო, რაშია საქმეო, ახლოს მოხვლას ვერვინ ბედავს. მხედავენ, რომ გაცეცხლებული ვარ.

ზოგი აშკარად გამოექომაგა.

გაუშვი ხელი, როგორ ბედავ, ქალბატონო, ეგ ხომ მანველიძეაო.

მანველიძე კი არა ინტრიგანი და ოხერია. რას ერჩის ჩვენს პრეზიდენტს ეგ ბანდიტი. აგერ ახლა წყნარად ველაპარაკებოდი, რაღაც უნდა მეკითხა და დედა შემაგინა-მეთქი.

გავუშვი ხელი და ერთი-ორი პანღურიც ვუთავაზე.

უკან არ მოუხედავს, ტყაპატყუპით ჩაირბინა კიბეები.

მოვდივარ კარვებისკენ გულმოოხებული, ვალმოხდილი, ეს ერთი კარგი საქმე რომ გავაკეთე.

ჩემი საქმე პატარაა, მაგრამ როგორც გვეუბნებიან, საჭირო და სასარგებლო. ამით, თურმე, ძალიან ვეხმარებით საქართველოს გათავისუფლების საქმეს.

რას ვაკეთებდი, აქამდე, შე ქალო. რაც გავთხოვდი სახლიდან ფეხი არ გამიდგამს. ბავშვები, ქმარი, ბაზარი, სამზარეულო... სხვა არაფერი ვიცოდი.

მითხრა ქმარმა ერთიორჯერ, წამოდი სახლში, გეყოფა აწი, სარცხვია, საკეთებელია, მომკლა მაღაზიებში ჭანჭალმაო. წავუყრუე. რომ გამიმეორა: მე აქ დროს გასატარებლად როდი ვარ, საქვეყნო საქმეს ვემსახურები მეთქი.

თავი ჩაღუნა, ხმა არ გაუცია, შეგნებული ქმარი მყავს, რაც მართალია, მართალია.

ოქტომბერი, 1991

## კოშმარი

როგორც თქვენ, თითქმის ყველანი, მეც ტელევიზორის კაცი ვარ. ამასწინათ ასეთ გადაცემას შევესწარი — სტუდენტები ხვდებოდნენ პრეზიდენტს, თუ პრეზიდენტი სტუდენტებს, რა მნიშვნელობა აქვს, მოკლედ, შეხვედრა უზენაესი საბჭოს შენობაში მიმდინარეობდა.

ორივე მხარე გულმოსული ჩანდა. ცხარობდნენ სტუდენტებიც, ცხარობდა პრეზიდენტი და მის გასწვრივ მჯდომი მთავრობის წევრები ხომ პირდაპირ იჭაჭებოდნენ ბრაზისაგან.

და მაინც, მიუხედავად ამდენი გაჯავრებული სახისა, დიდებული შეხვედრა იყო. ერთ მხარეს ბევრისმცოდნე და მიმხვედრი, ლამაზი და გაბედული სტუდენტები, მეორე მხარეს მათ მიერვე არჩეული პრეზიდენტი. / იყო აჩქარებულობაში, თვითნებობა-სიმკაცრეში, უმეცრებაში, გულუბრყვილობაში, მიამიტობაში, თვალთმაქცობაში, პირუმტკიცობაში ურთიერთმხილება, მაგრამ იგრძნობოდა, რომ ყველაფერი საქმისათვის, ქვეყნის წინ წაწევისათვის, კეთილი მიზნის მოახლოებისათვის კეთდებოდა. წუთითაც არ გამჩენია უკმაყოფილების გრძნობა. ორივე მხარეს თავისი სიმართლისა სჯეროდა და ვატყობდი, როცა სცდებოდნენ, გულწრფელად სცდებოდნენ.

შევცქეროდი ტელევიზორს და სიხარულისგან ლამის ავქვითინებულიყავი. რა მშვენიერი ახალგაზრდობა გვყავს. ამათ კი ვერ მოატყუებენ, რა ბედნიერი ვარ, რომ ქართველად გავჩნდი ამ ქვეყანაზე.

დამთავრდა შეხვედრა, შეთანხმებით, როგორც მოსალოდნელი იყო, ვერ შეთანხმდნენ, მაგრამ აშკარად ჩანდა, რომ კიდევ რამდენიმე შეხვედრა და, ნანატრი ჰარმონია მიიღწეოდა მათ შორის. ყოველ შემთხვევაში, ერთი მხარეც რასმე ისწავლიდა და ამ შეხვედრით და მეორეც.

მერე შვიდიოდე წუთიანი მულტფილმი შემოგვთავაზა ჩვენმა სამკაციანმა ტელევიზიამ და რაკი ჯიუტად არ მოვშორდით ტელევიზორს, უზენაესი საბჭოს შენობის წინ მთავარი საინფორმაციო მიტინგი ჩაგვირთეს.

რესპუბლიკის კანონიერმა თავკაცმა მრავალათასიან მიტინგს აზარა, უკრაინამ უკვე გვცნო, უკრაინამ გვაღიარა, გილოცავთ ყველას, ახლა ცოტა ხნით უნდა დაგტოვოთ, კონსულტაციები მაქვსო, ბოდიში მოიხადა და წავიდა.

გაიმართა ზეიმი.

ღმერთო ჩემო, რა საშინელი სანახაობა იყო.

უნიჭო ლექსების კითხვა, სახელდახელო სიმღერები, (ერთ მიკროფონთან მეორე ხმები პირველზე და ბანებზე უფრო ახლოს რომ დგანან და მარტო მეორე ხმა რომ ისმის.), გულისამაჩუყებელი, ყალბპროვინციული სიტყვები ინტელიგენტობადაბრალებული ადამიანების ბაგეთაგან.

სად შევმძვრალიყავი არ ვიცოდი.

უგემოვნობის, პაპუასური ფართხუნ-ზეიმის დემონსტრაცია იყო. მერე ვიღაცამ „ცანგალა და გოგონა" წამოიწყო და ცეკვა-თამაში გაიმართა. როკავდნენ, ბუქნაობდნენ, ძუნძულებდნენ წრეში შეგულიანებული იჯახის ქალები, ზოგი მათგანი ქუჩაში რომ შეგხვედროდა იქნებ, სიფრთხილეც კი მიგეჩნია და რამე მიეცი, აქ კი, სიხარულისაგან სახეზე ნათელი ეფინებოდათ, ბრაზმორეული მხრებს და ვავა-ჩანს ცეცხლიანით აცახცახებდნენ, ლამის აფრენილიყვნენ დეკემბრის ხუსხიან ცაში.

რა მოხდა ასეთი?

უკრაინამ გვცნო, აწი რაღა გვიჭირს. ჩვენი საქართველო, რუსთაველის და დავით აღმაშენებლის ქვეყანა უკრაინამ გვიღიარაო. ლამის თავი მოეკალით აღტაცებისაგანო.

ღმერთო, სად იყვნენ აქამდე, სად მოაგროვეს, ნუთუ ასეთი საქართველოც არსებობდა, რა დავუშავეთ მიტინგის ორგანიზატორებს ასეთი, რატომ გადაწყვიტეს თავისი ერის დაცინვა და თავისმოჭრა. რატომ ამოიღეს ასე გულიდან ქართველი ხალხი მეთქი?

ვფიქრობდი და ცრემლებს ძლივს ვიკავებდი. ჩემს გულს ვახკდებოდი, მეტი რა შემეძლო.

მთელი ღამე საშინელ სიზმრებს ვხედავდი: თეთრ ბაღში, თეთრ ხეზე მიბმულს, ფრჩხილებიანად გათოკილს ყელზე მიჭერდა ვიღაც ხელებს. არ ვნებდებოდი და არც მეშვებოდა.

ღმერთო, შენ გვიშველე!

ნოემბერი, 1991.

# ხიდები ჩვენ შორის

**როგორც** ჩვენმა მკითხველმა იცის, თბილისში 12-13 აპრილს სტუმრად ბრძანდებოდა გერმანიის ვიცე-კანცლერი, საგარეო საქმეთა მინისტრი ბატონი ჰანს-დიტრიხ გენშერი მეუღლითურთ.

საპატიო სტუმარი შეხვდა საქართველოს სახელმწიფო საბჭოს წევრებს.

ამ შეხვედრაზე სტუმარს გერმანულად მიმართა მწერალმა **ნაირა გელაშვილმა**, რომლის სიტყვის თარგმანსაც ქვემოთ გთავაზობთ.

დიდად პატივცემულო ბატონო გენშერ!

ძვირფასო ქალბატონებო და ბატონებო!

ნება მიბოძეთ, თავი წარმოგიდგინოთ. მე არ გახლავართ პოლიტიკოსი, მე ვარ მწერალი და გერმანისტი. ქართულად თარგმნილი მაქვს დიდი გერმანელი და გერმანულენოვანი პოეტების: ჰოლდერლინის, ნოვალისის, რილკეს და სხვების ნაწარმოებები. ამით მხოლოდ იმის თქმა მსურს, რომ გერმანია მეორე სულიერი სამშობლოა ჩემთვის, და არა მარტო ჩემთვის. საქართველოსთვის მუდამ დამახასიათებელი იყო და არის განსაკუთრებული ინტერესი გერმანული სულიერი სამყაროსადმი, გერმანული კულტურისადმი. ასე რომ, ძვირფასო სტუმრებო, გერმანია ჩვენთვის მხოლოდ პოლიტიკური ცნება არ გახლავთ. გერმანელები კი ჯერჯერობით არ იცნობენ საქართველოს.

იმედი მაქვს, რომ ისეთი პოლიტიკოსები, როგორიც ბრძანდებით თქვენ, ბატონო გენშერ, როგორიც გახლავთ ბატონი შევარდნაძე და სხვები, უველაფერს გააკეთებთ პოლიტიკური ხიდის ასაგებად ჩვენს ქვეყნებს შორის, მაგრამ პოლიტიკური ხიდები მხოლოდ იმ შემთხვევაშია მყარი, თუ ისინი აგებულია ხალხების სულიერი, კულტურული, ადამიანური დაახლოების საფუძველზე.

მხოლოდ ადამიანური საფუძველია გამძლე.

მრავალი გერმანელისგან მსმენია — და ისინი, ალბათ, საუკეთესო გერმანელები არიან, თანაც ჩემი გერმანელი მეგობრები — რომ სწორედ გერმანელებმა უნდა იტვირთონ პასუხისმგებლობა XXI საუკუნის წინაშე. ჩვენ, ქართველებს, გვსურს გავიზიაროთ ეს პასუხისმგებლობა არა მხოლოდ იმიტომ, რომ ჩვენი ხალხები ტრაგიკული ბედისწერით აღმოჩნდნენ დაღდასმულნი, რადგან საუკუნის ტრაგედიის მთავარი გმირები — ჰიტლერი და სტალინი მოუვლინეს კაცობრიობას; არც მხოლოდ იმის გამო, რომ მიუხედავად მსოფლიოს ამ მწარე გამოცდილებისა, ე. ი. გერმანული გაკვეთილისა, სულ ცოტა ხნის წინ, ჩვენ, ქართველებმა, ნაციონალისტური შეშლილობის ლოკალური შეტევა გადავიტანეთ, არამედ პირველ რიგში იმიტომ, რომ პასუხისმგებლობა დედამიწის, სამყაროს, კაცობრიობის წინაშე, როგორც რაღაც მთელისა და ერთიანის წინაშე, არის ის ერთადერთი გზა, რომელსაც ჯერ კიდევ ძალუძს მსოფლიოს გადარჩენა. მხოლოდ და მხოლოდ პასუხისმგებლობა მთელი სამყაროს, მთელი სიცოცხლის, თვით სიცოცხლის უმცირესი ნაწილაკის წინაშე შეიძლება იყოს სამყაროს ხსნის ერთადერთი ოპტიმალური პოლიტიკა.

მადლიერი ვარ, რომ დღეს ჩვენს გვერდით გხედავთ.

# ხვალ ბზობაა

**გილოცავთ, ამ საუფლო დღესასწაულის მადლი სწყალობდეს სრულიად საქართველოს!**



**ბზობა** ქრისტიანული ეკლესიის ერთ-ერთი მთავარი საუფლო დღესასწაულია. იგი მოძრავია და მოდის აღდგომის წინა კვირა დღეზე. ამ დღეს ქრისტიანული ეკლესია იხსენებს უფლის უკანასკნელ მსვლელობას იერუსალიმში. მისი შინაარსი დაფუძნებულია სახარების მოთხრობაზე, რომელშიაც გადმოცემულია იერუსალიმში პასექის დღესასწაულზე დასასწრებად იესო ქრისტეს შესვლის ამბავი. სახედარზე ამხედრებულ მაცხოვარს იერუსალიმელნი დიდი სიხარულით შეეგებნენ: ვინ თავის სამოსელს უფენდა გზაზე, ვინ კიდევ პალმის ტოტებს — ბაიას (ბევრ ქვეყანაში პალმის მაგივრობას ბზა ეწევა, აქედან „ბზობა"). გაისმოდა შეძახილები: „ოსანა ძესა დავითისა! კურთხეულ არს მომავალი სახელითა უფლისაითა! ოსანა, რომელი ხარ მაღალთა შინა!" ბევრი ხეიბარი განკურნა იმ დღეს უფალმა.

ბზობა ქრისტიანული კულტის მსახურებაში IV საუკუნეში შემოვიდა.

**წლევანდელი** ბზობა განსაკუთრებულ ვითარებაში აღინიშნება — ჩვენს მამულში ჯერ კიდევ არაა სრული სიმშვიდე, მაგრამ ქართული მართლმადიდებელი ეკლესია, მისი მრევლი შესთხოვს უფალს დაეხმაროს ჩვენს ხალხს გასაჭირში, გააძლიეროს და ძალა მისცეს მას სასიკეთოდ წარმართოს საქართველოს მომავალი ცხოვრება და მისი ბედი. ამ ფიქრით, ამ რწმენით სანთელი ავუნთოთ და ვევედროთ მაცხოვარს ჩვენსას და მარად გვახსოვდეს ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის მწყემსმთავრის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია მეორის შეგონება: „უნდა ვიაროთ ბნელიდან სინათლისაკენ, ცოდვიდან — სიწმინდისაკენ, განკითხვიდან — ყოვლის მიტევებისაკენ, სიძულვილიდან — სიყვარულისაკენ, მიწიდან — ზეცისაკენ.

— ეს გზა ერთადერთია და გულისხმობს ჭეშმარიტ ქრისტიანულ ცხოვრებას, ანუ ეკლესიურობას, რადგანაც აქაა მხოლოდ შესაძლებელი სულიერი სრულყოფის კიბეზე ამაღლება".

ბზობის წინა დღეს, შაბათ საღამოს მოქმედი ეკლესიის წინამძღვრები აღავლენენ ბზობის ლოცვას, ხოლო კვირა დღით — წირვას.

სიონის საკათედრო ტაძარში უწმინდესი და უნეტარესი, სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი ილია მეორე აღავლენს საზეიმო წირვა-ლოცვას.

ღმერთმა კეთილი ბზობა გაგვითენოს, გვფარავდეს ღმერთი აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე. ამინ!

## ქართული ფილმების გერმანული დებიუტი

**ორი** ქართული ფილმი წარმოადგენს ეროვნულ ახალგაზრდულ კინემატოგრაფს გერმანიის ქალაქ ბაბელსბერგში გამართულ ტრადიციულ საერთაშორისო ფესტივალზე. ამ წარმომადგენლობითს დათვალიერებაზე, რომელიც 25 აპრილს გაიხსნება, გაიმართება ქართული ფილმების პრემიერები. ერთია საქართველოს რუსთაველის სახელობის თეატრალური ინსტიტუტის კინოფაკულტეტის კურსდამთავრებულის ზაზა ხალვაშის ფილმი „იქ, ჩემთან, აჭარაში", და მეორე — გენო ცაავას ლენტი „პირველი მეოთხე თვე". სხვათა შორის, გენო ცაავას ფილმი ამ დღეებში მონაწილეობს სტუდენტური და დამოუკიდებელი ფილმების აუგსბურგის (გერმანია) საერთაშორისო ფესტივალში და იქიდან პირდაპირ გადაიგზავნება ბაბელსბერგში.

## მეტრო: ჟეტონები ბილეთების ნაცვლად

**19 აპრილიდან თბილისის მეტროს სადგურებში ფულის ნაცვლად ხმარებაში შემოვა სპეციალური ჟეტონები, რომელიც ამჟამად მოსკოვის მეტროპოლიტენის ბრუნვაშია. საკონტროლო-გასაშვები ავტომატიკა მთლიანად გადაკეთდა ამ სიახლის გამოყენებისთვის.**

ეს ლითონის ერთჯერადი სამგზავრო ბილეთები განსაკუთრებული შენადნობისგან არის დამზადებული. მათთან ერთად ძალაში იქნება სამგზავრო ქაღალდის ერთჯერადი ბილეთები, რომლებიც შემორჩა ქალაქის მოსახლეობაში. თბილისის მეტროპოლიტენის სალაროებში 18 აპრილიდან დაიწყება ჟეტონების გაყიდვა.

1 სექტემბრისათვის, თქვა თბილისის მეტროპოლიტენის სამმართველოს უფროსმა გურამ გაბუნიამ, ახლანდელ ჟეტონებს შევცვლით ახლებით, რომლებზეც გამოსახული იქნება ჩვენი სიმბოლიკა.

## დაეხმარება პოლიტოლოგებს

**ჩვენს** დღეებში პოლიტოლოგია გახდა ის საგანი, რომელსაც მთავარი ადგილი უკავია სამეცნიერო დისციპლინათა შორის. ყველასა და თითოეულის მიერ პოლიტოლოგიის ანბანის დაუფლების საქმეში დაეხმარება თემატური გამოფენა, რომელიც გაიხსნა საქართველოს ეროვნულ ბიბლიოთეკაში. სტენდებზე წარმოდგენილია საქართველოში, რუსეთში, ამერიკის შეერთებულ შტატებში, საფრანგეთში, ინგლისში, იტალიაში, სხვა ქვეყნებში გამოცემული ათობით წიგნი, გამოკვლევები, რეფერატები, სტატიები პერიოდული გამოცემებიდან.

დამთვალიერებელს იზიდავს სტენდები, რომლებზეც წარმოდგენილია ლიტერატურა პოლიტიკურ ძალაუფლებაზე, პოლიტიკასა და პიროვნებაზე, პოლიტიკაზე, როგორც სოციოლოგიურ გამოკვლევათა ობიექტზე და სხვა.

ივერთა ღვთისმშობლის სრულიად საქართველოს საქველმოქმედო საზოგადოება, თეკლა ბატონიშვილისა და 1832 წლის შეთქმულების ამსახველი ისტორიული მუზეუმის მომწყობი კომისია, პეტრე იბერის სახელობის რელიგიურ-ჰუმანიტარული უმაღლესი კოლეჯი და თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის არეოპაგიტული სამეცნიერო ცენტრი თანაგრძნობას უცხადებენ ქალბატონ ქეთევან ბაგრატიონს და მის ოჯახს

**კონსტანტინე ბაგრატიონის**

გარდაცვალების გამო.

# ამ დღეებში

**გაზეთები „საქართველოს რესპუბლიკის" და საქინფორმის სპეციალური კორესპონდენტები**

**მოვლენა ● ფაქტი ● კომენტარი**

## გაძვირდება თუ არა კოოპერაციული მშენებლობა?

უკვე გაძვირდა! — ასე გვიპასუხებენ ამ ამაღელვებელ კითხვაზე მშენებლები. იმათთვის კი ყველაფერი ცხადია: საშენი მასალების ფასები 30 და 40-ჯერ გაიზარდა! ეს პროცესი აი უკვე მესამე წელია სწრაფად ძლიერდება. თუმცა, ჯეროვნად უნდა დავაფასოთ მთავრობა — იმ დროს, როცა საბაზრო ურთიერთობა ახლო პერსპექტივად არ ჩანდა, მან იკისრა ვალდებულება გადაიხადოს განსხვავება საბიუჯეტო სახსრებიდან. მაგრამ საშენ მასალათა ფასების მომატება ისეთი „შესაშური" თანამიმდევრულობით გრძელდება, რომ პრაქტიკულად შეუძლებელია გამოედევნო საბირჟო ვნებებს. არსებითად არაქმედითუნარიანი აღმოჩნდა საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1991 წლის 25 მაისის დადგენილებაც, რომელიც ვარაუდობს თავდაპირველ ხარჯთაღრიცხვასა და გაძვირებულ ფასებს შორის განსხვავების კოეფიციენტის გადახდას სამშენებლო ორგანიზაციათა შემოსავლის ხარჯზე. მიწისძვრის შედეგების ლიკვიდაციის, საყოველთაო სამეურნეო ნგრევის, ეკონომიკური და პოლიტიკური სიტუაციის არასტაბილურობის პირობებში დადგენილება არ მოქმედებს, ხოლო სამშენებლო ორგანიზაციები, როგორც წესი, ზარალით მუშაობენ და ყოველგვარ შემოსავალზე, ბუნებრივია, ლაპარაკიც ზედმეტია.

ამასობაში, მარტო თბილისში სავალალო მდგომარეობაში არიან 48 სამშენებლო კოოპერატივის სავარაუდო მცხოვრებლები. ამ, უკვე დაწყებულ მშენებლობათა განსხვავების კოეფიციენტმა, სპეციალისტების გამოანგარიშებით, ნახევარ მილიარდ მანეთს გადააჭარბა! ყოველ კონკრეტულ ოჯახზე გადაყვანით განსხვავება ისეთ დიდ თანხებს აღწევს, თითოეული მეპაიე ყოველ შემთხვევაში მილიონი მანეთის მფლობელი უნდა იყოს!

არადა, 48 წამებულ კოოპერატივს შორის არიან დიდმოწამენი, რომლებიც თავიანთ გენეალოგიას იწყებენ, 1968 წლიდან. მაგალითად, „მწერალი-215" — „ჟურნალისტი-276"-ის მეორე რიგი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებელთა კოოპერატივები და სხვა, თუმცა „ახალგაზრდა" კოოპერატივები პრაქტიკულად არ არსებობს: უკვე ორი წელია კოოპერაციულ მშენებლობას თვით ჩვენმა ხინამდვილემ დაადო ვეტო...

შეუმოწმებელი მონაცემებით, მთავრობა ვარაუდობს მეპაიეებს მისცეს გრძელვადიანი კრედიტები — ასე 50 წლისათვის. მაგრამ თუ, ვთქვათ, იგივე ჟურნალისტები გაერთიანდნენ კოოპერატივში 1968 წელს, 1974 წელს გადაიხადეს საერთო პაის 30 პროცენტი, ხოლო 1986 წელს — 60 პროცენტი, მაშინ რამდენი წლის უნდა იყვნენ ამჟამად? მრავალი პენსიაზე გავიდა. 50 წლის შემდეგ ისინი საშუალოდ ასი, ას ოცი წლისანი იქნებიან... მართალია, ზოგიერთს ჰყავს შვილები, მაგრამ სავალალო სტალინურ ხანაშიც მათ ოფიციალურად არ მოეთხოვებოდათ პასუხი მშობელთა ცოდვებისათვის... და მერე, რა ბრალი მიუძღვით 18 სამშენებლო კოოპერაციული სახლის ამ და სხვა მეპაიეებსაც?

რა ვქნათ? ამ კითხვით საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების თავმჯდომარეებმა და მეპაიეებმა მიმართეს ქალაქ თბილისის კაპიტალური მშენებლობის სამმართველოს უფროსს ლერი მირაშვილს. თავაზიანმა კაცმა დაამშვიდა ადამიანები: საკითხი მთავრობაში წყდებაო, თუმცა ამ დროს არც თუ დამაჯერებლად ლაპარაკობდა.

...და მაინც უნდა გვწამდეს, რომ ჩვენი მთავრობა ხალად შეაფასებს სიტუაციას, გამონახავს სრულიად უდანაშაულო ადამიანების სოციალური დაცვის გზებს, რომლებიც წლობით ელოდებიან საკუთარ ჭერს.

**ლამარა გაგუა.**

## სამხედრო მუზეუმი საბავშვო ჰობი-ცენტრი, თუ...„?"

**დიახ,** ეს საკითხი გვაწუხებს და აი, რატომ. ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის მუზეუმის ერთადერთი მოიჯარადე საქართველოს ბავშვთა ფედერაცია სისხლხორცეულად არის დაინტერესებული ამ შენობის ოპტიმალური გამოყენებით, მისი შემდგომი დატვირთვით, მის ჭერქვეშ ბავშვთა ჰობი-ცენტრის მოწყობით.

„საქართველოს ტერიტორიაზე განლაგებული საკავშირო-რესპუბლიკური დაქვემდებარების საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების სტატუსის შესახებ" და „სსრკ შეიარაღებული ძალების სტატუსის შესახებ" ნორმატიული კანონების გამოქვეყნების შემდეგ ჩვენ მივმართეთ როგორც საქართველოს მთავრობას, ასევე ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ხელმძღვანელობას, გავუზიარეთ ჩვენი სურვილი და მოსაზრებანი, მაგრამ საკითხი ვერ გადაწყდა.

ამიტომ პასუხი ვთხოვეთ ოლქის სარდლობას, რომ შეძლებისდაგვარად თავი დაგვეზღვია მოულოდნელი და არასასურველი შედეგისაგან. პასუხი ერთმნიშვნელოვანი იყო: მუზეუმის შენობის გადაცემაზე ლაპარაკი ოლქის ხელმძღვანელობას ნაადრევად მიაჩნდა. შენობის სამომავლო გამოყენების მიზნით ჩავატარეთ გარკვეული აღდგენითი სამუშაოები, მუზეუმის ფოიეში ორგანიზაცია გავუკეთეთ მუდმივმოქმედ საყმაწვილო ვერნისაჟს, აქვე ბინა დაიდო საყმაწვილო გაზეთმა „სხივმა", აღნიშნულ შენობაში ბავშვთა ჰობი-ცენტრის განთავსების თაობაზე შევისწავლეთ საზოგადოებრივი აზრი.

ყველა მხარდაჭერასა და დახმარებას გვპირდებოდა. საქართველოს ბავშვთა ფედერაცია სამხედროთა ნებართვითა თუ ზოგჯერ ქენებართვოდაც მუზეუმის შრომითი კოლექტივის დიდი თანადგომით ნაბიჯ-ნაბიჯ განვახორციელებდით ჩანაფიქრს. მას შემდეგ, რაც რესპუბლიკური საკუთრების, მათ შორის რესპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგებული სამხედრო ობიექტების შემდგომი მართვის საკითხი გადავიდა სახელმწიფო ქონების მართვის კომიტეტის კომპეტენციაში, მივმართეთ აღნიშნულ უწყებასაც. შეგვპირდნენ საკითხის შესწავლასა და კანონიერად გადაწყვეტას.

გაზეთის რედაქციისთვის ამ წერილის მოწერა კი გადავწყვიტეთ მას შემდეგ, რაც ცნობილი გახდა, რომ აღნიშნული შენობის გასხვისება შეიძლება მოხდეს სახელმწიფო ქონების მართვის კომიტეტის გვერდის ავლით, რაც უკვე თავისთავად კანონის დარღვევა იქნება.

იურიდიულად რამდენად გამართლებულია სამხედრო ოლქისა და „უხილავი" მყიდველის გარიგება, ეს კომპეტენტური ორგანოების ფუნქციაა. ფაქტი კი იმაზე მეტყველებს, რომ ჩვენს შორისაც არსებობენ ისეთები, ვინც ყველასაგან დაფარული, მიუღებელი ხერხებით ამღვრეულ წყალში თევზის დაჭერას ცდილობს.

იმედი გვაქვს, რომ ეს პუბლიკაცია ხელს შეუწყობს ბავშვების სასარგებლოდ საკითხის გადაწყვეტას.

საქართველოს ბავშვთა ფედერაციის სახელით:

**კობა გილაშვილი, გელა კვარაცხელია, გიორგი ნოზაძე.**

## წერილი რედაქციას

ბატონო რედაქტორო!

ნება მიბოძეთ თქვენი გაზეთის საშუალებით ულრმესი მადლობა მოვახსენო ყველას, ვინც პატივი დამდო და დაბადების 90-ე წლისთავი მომილოცა. განსაკუთრებით სამახსოვროდ დამრჩება ბატონ ედუარდ შევარდნაძის დიდი ადამიანური სითბოთი აღბეჭდილი მოსალოცი წერილი.

პატივისცემით

**ალექსანდრე ბარამიძე.**

# საქართველოს საკეთილდღეოდ



**სრულიად** საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ 10 აპრილს აკურთხა საქართველოს საადგილმამულო ბანკი „ალმაშენებელი". ბანკმა, რომელიც ჯერ კიდევ დიდი ილია ჭავჭავაძის მიერ 1875 წელს დაარსებული საადგილმამულო ბანკის კანონიერი და პირდაპირი მემკვიდრეა, განაახლა თავისი საქმიანობა. მან არსებობა შეწყვიტა 75 წლის წინათ, როცა ხელისუფალთა ბრძანებით, არა მარტო საბანკო, არამედ ყოველგვარი საქმიანობა თავის მეურვეობაში მოაქცია.

ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის მეთაურმა მიულოცა საზოგადოებას ღირსშესანიშნავი მოვლენა და საადგილმამულო ბანკს უსურვა განაგრძოს თავისი დიდი დამაარსებლის ტრადიციები, სთხოვა არ დაივიწყონ, რომ დღეს საქართველოს წინაშე მრავალი პრობლემა დგას, მათ შორის ერთ-ერთი უმთავრესი — ზრუნვა ადამიანთა ინტელექტუალური განვითარებისათვის. იმის მიუხედავად, რომ ბანკი, თითქოს კომერციული ორგანიზაციაა, მან დიდი ყურადღება უნდა დაუთმოს სულიერ სფეროს, ახსოვდეს რომ არა ხოლო პურითა ცხოვნდების კაცი.

მან საადგილმამულო ბანკს საჩუქრად გადასცა ბიბლია.

ბანკის გახსნაზე მისასალმებელი სიტყვით გამოვიდნენ საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს მთავარი სახელმწიფო მრჩეველი ბატონი ალექსანდრე ბოჭორიშვილი, ფირმა „ნ. თ. მ"-ის გენერალური დირექტორი ზაზა კაციაშვილი, მედიცინის მუშაკთა კულტურის სასახლის დირექტორი ამირან მესხიშვილი.

საადგილმამულო ბანკის გამგეობის თავმჯდომარემ ბატონმა თამაზ ნანიტაშვილმა კოლექტივის სახელით გამოთქვა იმედი, რომ ფართო საზოგადოებრიობა მხარს დაუჭერს საადგილმამულო ბანკის საქველმოქმედო საქმიანობას, დამსწრეთ აღუთქვა, რომ ყოველ ღონეს იხმარს, რათა ღირსეული წვლილი შეიტანოს საქართველოს აღმშენებლობით პროცესებში.

მან მადლობა გადაუხადა ბანკის ძირითად დამფუძნებელს კონცერნ „ჭადოსნური მერანი-91"-ის პრეზიდენტს ბატონ თამაზ ლობჟანიძეს.

ილია მეორემ აკურთხა აგრეთვე ძმების ნოდარ და თემურ მაისურაძეების საგამომცემლო ფირმა „ნ. თ. მ.".

## ჭადრაკი

### ჩვენი ოლიმპიური გუნდები

**როგორც** ვიუწყებოდით, ამას წინათ ფიდე-მ თავის წევრად მიიღო საქართველოს ჭადრაკის ფედერაცია. ასე რომ, საქართველოს მოჭადრაკეები მონაწილეობას მიიღებენ მსოფლიოს ქალთა მე-15 და ვაჟთა 30-ე ოლიმპიადებში (7-25 ივნისი, ქ. მანილა).

საქართველოს ჭადრაკის ფედერაციამ დაამტკიცა ჩვენი გუნდების შემადგენლობანი. ვაჟთა ნაკრებში არიან: დიდოსტატები ზურაბ აზმაიფარაშვილი, ზურაბ სტურუა, ელიზბარ უბილავა, საერთაშორისო ოსტატი გია გიორგაძე, სათადარიგონი — დიდოსტატები გენადი ზაიჩიკი, ლაშა ჯანჯღავა; ქალთა ნაკრებში — დიდოსტატები ნონა გაფრინდაშვილი, მაია ჩიბურდანიძე, ნანა იოსელიანი. სათადარიგო მოთამაშეს დაასახელებს საქართველოს ქალთა 1992 წლის ჩემპიონატი.

### 48-ე ტრადიციული

**გასულ** შაბათს თბილისის ჭადრაკის სასახლეში დაიწყო საქართველოს ქალთა 48-ე ჩემპიონატი. ჩემპიონის სახელსა და ოლიმპიური ნაკრების საგზურს ერთმანეთს ეცილება 12 მოჭადრაკე — დიდოსტატები ქეთევან არახამია, ნინო გურიელი, ქეთევან კახიანი, საერთაშორისო ოსტატები თამარ ხმიადაშვილი, ციალა ქასოშვილი (გორი), ოსტატები ქეთევან მელაშვილი, ნინო ხურციძე, ფიდე-ს ოსტატი თეა ლანჩავა, ოსტატობის კანდიდატები საქართველოს 1991 წლის ჩემპიონი ინგა ხურციძე, სოფიკო ნიკოლაძე, ნატო ეძგვერაძე და თამარ ფაჩულია.

6 ტურის შემდეგ ლიდერობენ გურიელი — 6 ქულა, ლანჩავა — 4,5, არახამია — 4.

ჩემპიონატი 25 აპრილამდე გასტანს.

### წარმატება ინგლისში

**აპრილის** დამდეგს ქ. ოკჰამში (ინგლისი) თავი ისახელა ოსტატმა, 16 წლის ნინო ხურციძემ. მან ვაჟთა საერთაშორისო ტურნირში (52 მონაწილე, 9 ტური) 3,5 ქულა მოაგროვა და საერთაშორისო ოსტატის პირველი ბალი მოიპოვა.

**თენგიზ გიორგაძე,**
საერთაშორისო არბიტრი.


**რეკლამა ● განცხადება**

**ქარემო-CAREMO**

**საწარმოო-კომერციული ფირმა „ქარემო"**

მომსახურებას სთავაზობს სახელმწიფო ორგანიზაციებს, კოოპერატივებს და კერძო პირებს:

— საწარმოთა ეკოლოგიური პასპორტიზაციის სამუშაოების შესრულებას;

— წყლისა და ჰაერის გამწმენდი ნაგებობა-დანადგარების დაპროექტებას, მშენებლობას და დამონტაჟებას;

— არსებული გამწმენდი ნაგებობების აღდგენა-რეკონსტრუქციას და მათი მუშაობის ეფექტიანობის განსაზღვრას;

— გამწმენდი ნაგებობების პასპორტების შედგენას;

— მავნე ნივთიერებათა გამონაფრქვევებზე და ჩანადენებზე ზღვრულად დასაშვები ნორმატივების პროექტების დამუშავებას;

— საპროექტო, სამშენებლო, სარემონტო, სარესტავრაციო (მათ შორის — ისტორიული ძეგლების) და საინჟინრო-გეოლოგიური სამუშაოების შესრულებას;

— ცალკეული გამოქვაბულების საინჟინრო-გეოლოგიურ გამოკვლევას სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო პროდუქტების წარმოებისა და საცავებად მათი გამოყენების მიზნით.

მისამართი: თბილისი, ჭავჭავაძის გამზირი, №84, V სართული, ოთახი 11,
ტელეფონი: 29-08-85, 29-01-49.

**გავაზი**
სადაზღვევო კომპანია

**საწარმოებს, ორგანიზაციებს, ფირმებსა და კერძო პირებს**

**სადაზღვევო** კომპანია „გავაზი" გთავაზობთ უნივერსალურ სადაზღვევო მომსახურებას თქვენთვის საინტერესო ნებისმიერ სფეროში.

გადასახადების ყველაზე დაბალი განაკვეთი და ზარალის ოპერატიული ანაზღაურება თქვენთვის ხელსაყრელი პირობებია, რომელთა შექმნაც მხოლოდ „გავაზს" შეუძლია.

მოგვმართეთ შემდეგ მისამართზე: თბილისი, ვაჟა-ფშაველას 43, ტელ.: 39-55-67, 39-11-64.

**გახსოვდეთ!**

**ცხოვრება სავსეა მოულოდნელობით. „გავაზი" თქვენი ფინანსური წონასწორობის გარანტია!**

**ქ. თბილისის სატელეფონო ქსელის აბონენტთა საყურადღებოდ!**

გაცნობებთ, რომ ამა წლის 15 მარტიდან, ფემატებულ ღირებულებაზე შეღავათის გათვალისწინებით, ტელეფონის სააბონენტო გადასახადი შეადგენს

— ძირითად ტელეფონზე 19 მან. 50 კაპ.

— პარალელურ და წყვილის ტელეფონზე — 17 მან. 20 კაპ.

აბონენტებს, რომლებმაც წინასწარ გადაიხადეს საბონენტო გადასახადი, გთხოვთ მიაკითხონ საბონენტო ცვანძებს თანხების გადასაანგარიშებლად.

შეგახსენებთ, რომ ტელეფონის საბონენტო გადასახადი უნდა იქნეს შეტანილი ყოველი მიმდინარე თვის 14 რიცხვამდე. დავალიანების მქონე აბონენტების ტელეფონები იქნება გათიშული.

**თბილისის საქალაქო სატელეფონო ქსელის ადმინისტრაცია**

**რეკლამა ● განცხადება**

**გიწვევთ ტურისტული ფირმა „არგო"**



**საქართველოს** სახელმწიფო ფილარმონიასთან არსებული ტურისტული ფირმა „არგო" გთავაზობთ მოგზაურობას იაპონიის ქალაქ ნიიგატაში **1992 წლის 12 ივნისიდან 21 ივნისამდე.** კომფორტული გემი „პეტროპავლოვსკი" გეზს ამომავალი მზის ქვეყნისაკენ აიღებს ქალაქ ნახოდკიდან, სადაც ქართველი ტურისტები ჩაფრინდებიან თბილისიდან მოსკოვის გავლით.

ტურისტებს საშუალება ექნებათ იაპონიაში შეიძინონ მსუბუქი ავტომანქანები, რომლის წამოყვანა ქალაქ ნახოდკამდე შევა საგზურის ღირებულებაში, გემზე მოგზაურობის დროს ტურისტების განკარგულებაში იქნება კომფორტული რესტორნები, ბარები, მუსიკალური სალონი, კეთილმოწყობილი კაიუტები. ნიიგატაში თქვენ საშუალება მოგეცემათ დაათვალიეროთ იაპონიის ამ ერთ-ერთი ულამაზესი ქალაქის ღირსშესანიშნაობანი.

იჩქარეთ საგზურების შეძენა! ტურისტულ ფირმა „არგოს" თქვენ უნდა მიმართოთ მიმდინარე წლის არა უგვიანეს 24 აპრილამდე. იცოდეთ, მსურველები ბევრია, ნუ გაუშვებთ ხელიდან შანსს, გახდეთ იაპონური მსუბუქი ავტომანქანის მფლობელები.

21 მაისიდან ფირმა „არგო" აწყობს ათდღიან მოგზაურობას მარშრუტით ბრატისლავა — ვენა — რომი — ვენეცია — ბრატისლავა. ამ მოგზაურობის დროს, რომელიც დაიწყება ქალაქ ჩოპში, ფირმა „არგოსთან" ერთად განახორციელებს იუგოსლავიის ფირმა „ინტერკონი".

დაწვრილებითი ცნობებისათვის მიმართეთ ფირმა „არგოს". დაიმახსოვრეთ მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ქ. № 186. ტელეფონი: 95-85-40.

თქვენ აქ გელიან ყოველდღე, გარდა კვირისა, დილის 10 საათიდან საღამოს 19 საათამდე.

გვერწმუნეთ, ფირმა „არგოს" სახით თქვენ შეიძენთ თქვენს მომავალ კეთილ მეგზურს.

**საქართველოს ჟურნალისტთა დამოუკიდებელ კავშირთან არსებული სარეკლამო-საგამომცემლო სააგენტო „ვიზა".**

**საქართველოს კერძო საინჟინრო-ეკონომიკური ინსტიტუტი**

აცხადებს კონკურსს შემდეგი თანამდებობის დასაკავებლად:

რექტორატის მრჩეველი საზოგადოებათმცოდნეობის საგანთა სწავლების დარგში — ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი; რექტორატის მრჩეველი ტექნიკისა და ტექნოლოგიის საგანთა სწავლების დარგში — ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი; რექტორატის მრჩეველი მათემატიკის, ფიზიკისა და ინფორმატიკის საგანთა სწავლების დარგში — ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი; რექტორატის მრჩეველი უცხო ენათა სწავლების დარგში — ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი; რექტორატის მრჩეველი ბუღალტერიის, სტატისტიკის, ფინანსებისა და კრედიტის საგანთა სწავლების დარგში — ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი; რექტორატის მრჩეველი წარმოების ეკონომიკისა და მართვის ორგანიზაციის საგანთა სწავლების დარგში — ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

საბუთები მიიღება 5 მაისამდე მხოლოდ იმ პირებისაგან, რომლებიც წინასწარ წარმოადგენენ რექტორატის მრჩევლის თანამდებობაზე არჩევის შემთხვევაში სხვა უმაღლეს სასწავლებელში ან სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტში ამჟამად დაკავებულ სრულ საშტატო განაკვეთზე მუშაობის შეწყვეტის თაობაზე წერილობით განცხადებას, აგრეთვე შესაბამის უმაღლეს სასწავლებელთა და სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტთა ხელმძღვანელობის თანხმობას.

ინსტიტუტის მისამართი: თბილისი — 380059, დიდუბის რაიონი, დიღმის მასივი, მესამე კვარტალი, ტელეფონი: 51-98-84.

**რექტორატი.**

**რეკლამა ● განცხადება**

**საქართველოს შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრალური ინსტიტუტი**

**აცხადებს** 1992/93 სასწავლო წლისათვის მიღებას შემდეგ სპეციალობებზე (სწავლების ფორმა — დღის დასწრებული და დაუსწრებელი).

ყველა სპეციალობაზე მიღება მიმდინარეობს ქართულ სექტორზე

**დღის დასწრებული**

I. დრამისა და კინოს, მუსიკალური თეატრის მსახიობის სპეციალობაზე

1. სპეციალობა (მსახიობის ოსტატობა)
2. გასაუბრება
3. ქართული ენა და ლიტერატურა (წერა)
4. საქართველოს ისტორია

II. სარეჟისორო სპეციალობა

1. სპეციალობა — პრაქტიკული
2. გასაუბრება
3. ქართული ენა და ლიტერატურა (წერა)
4. საქართველოს ისტორია

III. სახალხო თვითმოქმედების რეჟისორ-მენეჯერის სპეციალობა

1. სპეციალობა — პრაქტიკული
2. გასაუბრება
3. ქართული ენა და ლიტერატურა (წერა)
4. საქართველოს ისტორია

IV. თეატრალურ-დეკორატიული ხელოვნების სპეციალობა

1. სპეციალობა (ფერწერა, ხატვა, კომპოზიცია)
2. გასაუბრება
3. ქართული ენა და ლიტერატურა (წერა)

V. სამუზეუმო-საარქივო სპეციალობა

1. სპეციალობა — გასაუბრება
2. ქართული ენა და ლიტერატურა (წერა)
3. საქართველოს ისტორია

**დაუსწრებელი განყოფილება**

I კინომცოდნეობის სპეციალობა:

1. სპეციალობა — წერა
2. სპეციალობა — გასაუბრება
3. ქართული ენა და ლიტერატურა (წერა)
4. საქართველოს ისტორია

II. სამუზეუმო-საარქივო სპეციალობაზე გამოცდა იგივეა, როგორც დასწრებულ განყოფილებაზე.

აბიტურიენტმა განცხადება უნდა შეიტანოს რექტორის სახელზე, თან დაურთოს საშუალო განათლების დოკუმენტი (დედანი), სამედიცინო ცნობა (ფორმა № 086), ამონაწერი შრომის წიგნაკიდან (მუშაობის სტაჟის მქონეთათვის), 6 ფოტოსურათი (ზომით 3X4), პირადად წარმოადგენს პასპორტსა და სამხედრო დოკუმენტს. განცხადების მიღება ყველა სპეციალობაზე იწყება 8 ივნისს და მთავრდება 6 ივლისს დღის 2 საათიდან 5 საათამდე, გარდა კვირა დღისა.

შენიშვნა: დაუსწრებელ განყოფილებაზე არ დაიშვებიან თბილისში მცხოვრები აბიტურიენტები. კინომსახიობის, რეჟისორის და თეატრალურ-დეკორატიულ სპეციალობებზე შემსვლელმა უნდა გაიაროს შემოქმედებითი კონკურსი. მასალები უნდა წარმოადგინოს 25 ივნისამდე. სამსახიობო ფაკულტეტზე შერჩევითი ტურები დაიწყება 25 ივნისს.

გამოცდები დაიწყება 8 ივლისს.

მისამართი: რუსთაველის გამზირი № 19



მთავარი რედაქტორი ზურაბ ჯიჯიაშვილი.

მისამართი: 380096, თბილისი, მ. კოსტავას ქ. № 14, ტელეფონები: მთავარი რედაქტორის მისაღები 99-92-26; წერილების რედაქცია 99-78-24. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში, ხოშარაულის ქ. № 29. ინდექსი 64484.